

# საერთო გაფატი

№32 (671)  
ოთხშაბათი  
5 ოქტომბერი,  
2022წ.  
ფასი 1.50 ლ.

**ირაკლი ღარიბაშვილი - გუშინ, პირველ ოქტომბერს აღვნიშნეთ 10 წლის იუბილე მას შემდეგ, რაც ჩვენი მმართველი პარტია, მმართველი ძალა მოვიდა ხელისუფლებაში და მას შემდეგ უპრეცედენტოდ უწყვეტი მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების პერიოდი დადგა ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ დღეს გვჭირდება სწორედ მშვიდობა, გვჭირდება სტაბილურობა და განვითარება, ჩვენს ხალხს სჭირდება მეტი კეთილდღეობა და ამისთვის კიდევ უფრო მეტს გავაკეთებთ, იმისთვის, რომ ჩვენი მთავარი ოცნება და მთავარი მიზანი იყოს მიღწეული და შესრულებული - ეს არის ჩვენი ქვეყნის გაერთიანება, ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი არის დროებით ოკუპირებული, მაგრამ მჯერა, რომ საქართველო გაერთიანდება**, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა საპატიო თბილისელების დაჯილდოების ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას.




„მინდა, ვთქვა მთავარი – ჩვენ გუშინ, პირველ ოქტომბერს აღვნიშნეთ 10 წლის იუბილე მას შემდეგ, რაც ჩვენი მმართველი პარტია, მმართველი ძალა მოვიდა ხელისუფლებაში და მას შემდეგ უპრეცედენტოდ უწყვეტი მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების პერიოდი დადგა ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ დღეს გვჭირდება სწორედ მშვიდობა, გვჭირდება სტაბილურობა და განვითარება, ჩვენს ხალხს სჭირდება მეტი კეთილდღეობა და ამისთვის კიდევ უფრო მეტს გავაკეთებთ, იმისთვის, რომ ჩვენი მთავარი ოცნება და მთავარი მიზანი იყოს მიღწეული და შესრულებული – ეს არის ჩვენი ქვეყნის გაერთიანება, ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი არის დროებით ოკუპირებული, მაგრამ მჯერა, რომ საქართველო გაერთიანდება“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა საპატიო თბილისელების დაჯილდოების ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას.



**ვახტანგ ხარჩილაძე:**  
რუსეთთან სამოხრად  
დაქირავებული  
ქვეყნის ტრაგედია  
ერიდეთ უკრაინულ  
ხაფანგს!  
„სა“ N13. 13.04.2022

**ღიმიტრი ლორთქიფანიძე:**  
ლუკაშენკოს ვიზიტი  
აფხაზეთში,  
საქართველოსთვის  
მნიშვნელოვანი  
სიგნალია  
ეს ახალი შესაძლებლობების  
ფანჯარა შეიძლება გახდეს



**რამაზ საყვარელიძე:**  
კანდოკას ყუთი  
გაიხსნა და  
„ნაცმოძრაობის“  
შიდა სამზარეულო  
გამოაჩინა  
ისინი სრულ გაუგებრობაში არიან და  
ერთმანეთს ტალახს საზოგადოების  
დასანახად ესვრიან

**ლია ელიაშვილი:**  
თუ საქართველოში  
უხსოვრი  
ვალუტის შემოღინება  
გაბრძანდება,  
ლარი სტაბილური  
იქნება



**ბრიტოლ გაბნიძე:**  
დიპლომატიის გარდა მსოფლიოში  
სხვა სამართლებრივი  
ბერკეტიბი არ არსებობს

**შეკვეთილის ხეთა გაჯისსება**

**სანაწიების შეღები - ევროპის  
ღინდუსტრიალიზაცია**



მასტანბ ხარჩილაშა, „სბ“ N13. 2020წ. 13 აპრილი.

# რუსეთთან საომრად დაქირავებული ქვეყნის ტრაგედია

## ერიდეთ უკრაინულ ხაფანგს!

ეს ამბავი ათიოდე დღის წინ მოხდა საქართველოს ერთ-ერთ სოფელში.

ქვეყნის სუფრაზე თამადამ უკრაინის სადღეგრძელო შესთავაზა სუფრის წვერებს და მოუწოდა, ფეხზე ადგომით ეცათ პატივი მათი გამირული ბრძოლისთვის.

ერთი ქალბატონი არ თუ ვერ ადგა, რამაც სუფრის ხელმძღვანელის დიდი გულისწყრომა გამოიწვია და ქალბატონი უშვერი სიტყვებით გამოვლინდა.

ქალბატონს ორი მამაკაცი გამოესარჩლა.

რას ჰქვია, გამოესარჩლეთო და თამადის ხელმძღვანელობით ეს ორი მამაკაცი მაგრად გალახეს.

გალახულებმა ახლობლებთან გადარეკეს და სულ მალე ფრონტის ხაზთან ოცკაციანი რაზმი მოვარდა, რომელმაც გამლახველები უმოწყალოდ სცემა.

ჩხუბს გამველ-გამოვლელი-ბიც შემოუერთდნენ და პოლიცია დროზე რომ არ მოსულიყო, ინციდენტი შეიძლებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის „სამოქალაქო ომში“ გადაზრდილიყო.

აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ქალბატონს, 84 წლის ცნობილ მეჩაიეს, სხვა არანაირი კავშირი არ ჰქონდა უკრაინასთან, გარდა ერთისა — ძალიან უყვარდა უკრაინული ხალა, რომელსაც უკრაინაში სამუშაოდ წასული შვილიშვილი უგზავნიდა ხოლმე.

რაც იმ სოფელში მოხდა, იგივე ხდება დანარჩენ საქართველოშიც.

საქართველოც ერთი დიდი სოფელი გახდა თითქოს, სადაც ერთ მხარეს უკრაინული დროებით „შეიარაღებული“ ქართველები დგანან, უკრაინის ჰიმნს აგუგუნებენ და სადაც სისტემატურად ისმის გულმხურვალე მოწოდებები — სასწრაფოდ შევუერთდეთ სანქციებს და გავხსნათ მეორე ფრონტი რუსეთის წინააღმდეგ.

მეორე მხარეს უდროშო ქართველები დგანან, რომლებსაც ასევე ძალიან უყვართ უკრაინელები, ძალიან შესტკივათ გული მათზე, მაგრამ, ამასთან ერთად, ძალიან უყვართ საკუთარი სამშობლო, საქართველო და, პირველ რიგში, იმაზე ფიქრობენ, ჩვენ რომ აქ სანქციები გამოვუცხადოთ რუსებს და მეორე ფრონტიც რომ გაუხსნათ, ეს სასატიკო და დაუნდობელი რუსები ერთ დღეში მიწასთან გაასწორებენ მთელ ქვეყანას.

არც შემოსასვლელი და არც შემოსაპრობი არიან საიდანმე — შემოსულებიც არიან და შემოჭრილებიც, სამხედრო ბაზებზე აქვთ, ჩვენსავე ტერიტორიაზე აქვთ გახსნილი და ყველა ამ „სიკეთებთან“ ერთად, ფაქტობრივად, ალყაში ვყავართ მოქცეული — მარჯვნივ გაიხედავ — რუსია, მარცხნივ გაი-

ხედავ — რუსია, ზემოთ აიხედავ — რუსია, ზღვისკენ გააპარებ თვალს — იქაც რუსია.

ერთი ჰობ და აღარ არის ეს შენი საქართველო.

კი, მაგრამ, ამით რა ხსნა და რა შეება უკრაინელებს? — ფიქრობენ ეს უდროშო ქართველები, მეორე მხრიდან კი მათი მისამართით „დროშაინების“ ლანძღვა-გინება ისმის: ფუჰ, თქვე მშობრებო და ლაჩრებო, ომის გემინათ? რუსეთის მომხრეები ხართ თქვენ, პუტინის მოკავშირეები ხართ.

დღეს საქართველოში ასეა მი-

ამით ქართული სახელმწიფო დაიღუპება, რუსეთის მომხრეები ვართ, სამაგიეროდ, ზელენსკი, სააკაშვილი, დეკანოიძე, დანილოვი, ხაბეიშვილი, გვარამია, კულუბა, ადვიშვილი, საყვარელიძე, არისტოვიჩი... პატრიოტები არიან.

ვახო სანაია გამოძრჩა კინაღამ — სადაზვერვო „სვოდებს“ რომ გადასცემს ღია ეთერში და საქართველოს რუსეთისთვის კონტრაბანდული იარაღის მიწოდებაში რომ სდებს ბრალს.

სხვა სახელმწიფოს ხელისუფ-

ხი და ქვეყანა, მეორე (და, ალბათ, მთავარი) ის არის, როგორ გექცევა ამ შენი მეგობარი ქვეყნისა და ხალხის ხელისუფლება.

უკრაინის ხელისუფლების სრული უპატივცემულობა საქართველოსადმი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა 2012 წლის არჩევნებში დამარცხებული „ნაციონალისტების“ წევრებს, რომელთა შორის ბევრს მძიმე დანაშაულში ედებოდა ბრალი, ფართოდ გაუღო კარი და საპასუხისმგებლო თანამდებობები ჩამოურიგა.

ასე გაჩნდა მეორე „ნაციონალ-

ანი პროტესტი და კრიმინალ ნაციონალისტ სრული კარტელანში მისცა.

საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ამბებია ეს და მათზე საუბარს აქ არ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ ერთს: ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს ის რომ გაეკეთებინა, რაც უკრაინამ საქართველოსაკადრა, საქართველო, ალბათ, დაუყოვნებლივ გაწყვეტდა ასეთ სახელმწიფოსთან ყოველგვარ კავშირს, უკრაინის შემთხვევაში კი მსგავსი არაფერი მომხდარა, ამის მიზეზი კი საქართველოს ხელისუფლების უთავმოყვარეობასა და უპრინციულობაში კი არა, სულ სხვაგან არის საძიებელი.

საქართველო ურთიერთპარტნიორობისა და თანამშრომლობის იმ ვალდებულებით არის ხელფეხშეკრული, რომელიც დასავლეთმა ამ ორ სახელმწიფოს სავალდებულო ნორმად დაუწესა — უკრაინისა და საქართველოს ერთი მტერი ჰყავს — რუსეთი, ამიტომ ჩვენ აუცილებლად ერთად უნდა ვიყოთ.

ამ „განაჩენიდან“, ამ „უღლიდან“ თავის დაღწევა რომ სცადოს, საქართველოს მყისვე მიეკერება მოლაღატის და რუსეთის მოკავშირის იარაღი.

სწორედ ამით სარგებლობს უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლება და საქართველოს ხელისუფლებას აშინტაჟებს, შეურაცხყოფას შეურაცხყოფაზე აყენებს, რითაც ოპოზიციაში მყოფი რადიკალური ოპოზიციის „ნაციონალისტ“ პირდაპირ მოკავშირედ და პარტნიორად გვევლინება.

უკრაინის ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებას ქართველი ხალხის უმრავლესობა უჭერს მხარს და, აქედან გამომდინარე, ის შეურაცხყოფას აყენებს არა მარტო სახელისუფლო გუნდს, არამედ მილიონობით ქართველს, რომელიც საკუთარ შვილებს აკლებს ლუკმას და უკრაინელებს უგზავნის.

ამ დროს ზელენსკის და მისი გუნდის განცხადებებს რომ უსმინო, შეიძლება იფიქრო, რომ უკრაინა, რუსეთის პარალელურად, საქართველოსთანაც დაპირისპირებაშია, იმდენად მტრული და აგრესიულია ის დაუსაბუთებელი, ფაქტობრივად, პაერიდან მოტანილი ბრალდებები, რომელთაც ზელენსკის გუნდის ხან ერთი წარმომადგენელი გამოისვრის საქართველოს მისამართით, ხან მეორე, ხან — მესამე.

რა უნდათ, რას გვემართლებიან?

რა უნდათ და მეორე ფრონტი უნდა გავხსნათ თურმე, რომ, როგორც უშიშროების საბჭოს მდივანმა, დანილოვმა, ბრძანა, რუსებს უკრაინელების ზოცივის გარდა, სხვა საქმეც გამოუჩნდეთ და უკრაინისთვის გამოყოფილი ბოძების მარაგის ნაწილი ჩვენ დავიყაროთ თავზე.

უფრო დიდი ცინიზმი არ მსმენია.



ერთი ყურადღებით მიმოიხედე, ქართველებო, გარშემო — ოთხივე მხრიდან გამოთოფილი ვეგვართ რუსებს, ოთხივე მხრიდან ალყაში ვართ, ჩვენ კიდევ, დღე-ღამეზე ნატოში მიგვიღებენო, აგვიჩემებია.

25 წელია შევდივართ ამ ნატოში, შევდივართ, შევდივართ და ვერ შევსულვართ, თუმცა ამ შესვლა-შესვლაში ნატოს ნაცვლად ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტით რუსეთში „შევედით“. არ არის გამორიცხული, თუ ძველებურად ჯიუტად გავაგრძელებთ ნატოსკენ სვლას, მხოლოდ 20 პროცენტით კი არა მთლიანად, საქართველოს მთელი ტერიტორიით, რუსეთის ფედერაციაში ამოვყოთ თავი.

გახსოვთ, როგორ მღერიან ინგლისელი ფეხბურთელების მიერ გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხებული ქართველები „აბა ულას“? — ჰიმნი არ აქვთ და „აბა ულას“ მღერიან ჰიმნის ნაცვლად.

დღეს ჰიმნიც გვაქვს, დროშაც გვაქვს, ჯარიც გვყავს, ხელისუფლებაც გვყავს (ერთის ნაცვლად ორი), მაგრამ არ გვაქვს რაღაც მთავარი, რაც ამ ყველაფერს სახელმწიფოდ კრავს და ერთ უმღევლად მაღალ აქცევს.

როგორც ჩანს, არ გვეტყობა ჩვენ, რომ მზად ვართ სამშობლოსთვის ბოლომდე ვიბრძოლოთ და თავი გავწიროთ.

ჩვენ სხვის ზურგს ამოფარებულნი, სხვისი ზურგით ვცდილობთ საკუთარი პრობლემების გადაჭრას და ამიტომაც ვართ ასეთ დღეში...

რატომღაც მგონია, რაც უფრო ზშირად და რაც უფრო კატეგორიულად ვიტყვით, რომ ნატოში შევდივართ, მით უფრო მალე „შევედით“ რუსეთში და არავინ იქნება ჩვენი გამომსარჩლებელი.

მასტანბ ხარჩილაშა „სამართო ბაზმი“, 2 ოქტომბერი, 2013

დებული — თუ საქართველოზე ფიქრობ და დარდობ, თუ საქართველოს გამო სიფრთხილეს და წინდახედულებას იჩენ, ე. ო. რუსეთის მხარეს ხარ, ხოლო, თუ იმისთვის ხარ მზად, რომ ეს ქვეყანა დაუფიქრებლად და დაუნანებლად შეუგდო რუსული ტანკების მუხლურობებს — პატრიოტი ხარ.

ამ უცნაური ლოგიკის მიხედვით, ჩვენ, ვინც კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით საქართველოში რუსეთ-უკრაინის ომის „ფილიალის“ გახსნას, რადგან ვიცით, რომ

ლების კრიტიკა, როცა ეს ხელისუფლება ხალხის მიერ არის არჩეული, მაინცდამაინც სწორი საქციელი არ არის, მაგრამ, როცა ეს სხვა ქვეყნის ხელისუფლება შენი ქვეყნის საქმეებში ერევა და თავს უფლებას აძლევს, ისე გელაპარაკოს, თითქოს მისი ქვეშევრდომი იყო, იძულებული ხდები, საკადრისი პასუხი გაცე.

მეგობარი ქვეყანაა უკრაინა, უკრაინელი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობასაც დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ერთია ხალ-

ობა“ უკრაინაში, თავის ბელადთან, სააკაშვილთან ერთად, რომელიც მალე ოდების გუბერნატორი გახდა და თავისი „მანტრაპაც“ თან წაიყოლა.

სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობის და ურთიერთპატივისცემის შემთხვევაში მსგავსი რამ არ უნდა ხდებოდეს, თუმცა უკრაინის ხელისუფლებამ სულ ცალ ფეხზე დაიკიდა ურთიერთობის დაწერილი თუ დაუწერილი ნორმები, მასთან ერთად, ფეხებზე დაიკიდა საქართველოს სამართლი-

კიდევ უფრო გასაოცარია ის ამბავი, რომ ამ სიტყვების მთქმელი უშიშროების საბჭოს მდივანია.

უშიშროების საბჭოს მდივანი რომ ასეთი „ბრძენი“ გვეყოლება, ხომ წარმოგედგინათ, უფრო დაბალ სტრუქტურებში რა გენიოსები ჰყავთ დასაქმებული, თუმცა სულ მალე მეორე ბრძენი, გვარად არისტოვიჩი გამოჩნდა, რომელმაც ისეთი რაღაცები თქვა, მთელი მსოფლიო პირდაპირ დატოვა.



ჩვენა გასაკვირად, უკრაინის ხელისუფლება რაღაც ძალიან იოლად იმეტებს საკუთარ მოსახლეობას დიდი უბედურებისა და განსაცდელისთვის.

— ზელენსკი გმირია! ზელენსკი ნობელის პრემიაზე უნდა წარადგინოთ! — ხშირად ისმის ასეთი განცხადებები დასავლეთიდან.

კი, მაგრამ, რა დამსახურებისთვის უნდა წარადგინოთ ზელენსკი ნობელის პრემიაზე, ან რატომ არის ეს კაცი გმირი? ნუთუ იმიტომ, რომ ვერ ააქცია თავის სახელმწიფოს ეს აპოკალიფსური ომი, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, თუ იმიტომ, რომ ნახევარი უკრაინა მიწასთან არის გასწორებული, ხოლო მილიონობით ადამიანი ქვეყნიდან გაქცევით ცდილობს, თავს უშველოს.

ეს არის გმირობა? ამისთვის ეკუთვნის ზელენსკის ნობელის პრემია?

პატივცემულო უკრაინის ხელისუფლებაც, დანგრეულ და დაღვრილ ქალაქებს და სოფლებს რომ დასტირით, ათიათასობით უდანაშაულო ადამიანის ცხედრებს რომ დაჰქვითინებთ, ნუთუ ვერ გრძობთ თქვენს წილ პასუხისმგებლობას და თქვენს წილ დანაშაულს თქვენი არაპარამატული და არაგონივრული პოლიტიკის გამო, რის შედეგად, თქვენს სამშობლოს ომის გარდა, სხვა გამოსავალი, სხვა ალტერნატივა რომ არ დაუტოვეთ?

რუსეთი, ვიცით ჩვენ, ვინც არის, საკუთარ ზურგზე გვაქვს ნაწევნი მისი შოლტის და მათრახის სიმწვავე, მაგრამ თქვენ ვინ ხართ, ბატონო ზელენსკი, ან ეს თქვენი „ინტერნაციონალური“ გუნდი რას წარმოადგენს და რას და ვის ემსახურება, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია. ადრე თუ გვიან დამთავრდება ეს ომი და უკრაინელი ხალხი მომხდარს რომ გააანალიზებს, აუცილებლად მოსთხოვს პასუხს ბატონო ზელენსკის და მის თანამშრომლებს, რატომ მოხდა ის, რაც მოხდა.

სხვა მიზეზთა შორის, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ეს ომი დაიწყო, ნატოში უკრაინის გაწევრიანების საკითხი იყო.

ომის დაწყებიდან მცირე ხანში ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი გამოვიდა და განაცხადა, რომ უკრაინის ნატოში

გაწევრიანების საკითხი არც ახლა და არც ახლო მომავალში საერთოდ არ განიხილება.


ეს განცხადება, როგორც ვთქვით, ომის დაწყების შემდეგ გააკეთა.

არადა, ომის დაწყებამდე რომ ეთქვა ბატონ იენსს ის, რაც ომის დაწყების შემდეგ თქვა, შეიძლებოდა ეს ომი საერთოდ არ დაწყებულიყო.

არც ომის დაწყების შემდეგ გამოუჩნდა დიდი აქტიურობა ნატოს. გამოდის, რომ უკრაინა ნატოზე ოცნებას შეეწირა, სადაც მის მიღებას არავინ არ აპირებდა თურმე.

— ცა მაინც გადამიხურეთ, რომ რუსული ბომბები და რაკეტები თავზე არ გვაცვიოდესო, — დიდხანს იხვეწებოდა ზელენსკი, მაგრამ ბოლოს დაილაღა, ხეწუნა-მუდარას შეეშვა და ნატოს კრიტიკაზე გადავიდა.

ნატომ იმედები გაუცრუა უკრაინას, სამაგიეროდ, აშშ და ევროკავშირის ქვეყნები ამოუდგნენ გვერდში და უხვად ამარაგებენ იარაღით.



— იარაღი, იარაღი და იარაღი! დანარჩენს ჩვენ მივხვდებით, — ამბობს კულუბა, იმის ნაცვლად, რომ მშვიდობა, მშვიდობა, მშვიდობა! იძახოს.

რომც იძახოს, არავინ აღირსებს მშვიდობას უკრაინას, რადგან ის რუსეთთან ომისთვის, რუსეთის გასანადგურებლად „დაქირავებული“ ქვეყანაა და ამ ომიდან გამოსვლის და „დეზერტირობის“ საშუალებას მას არავინ მისცემს.

— რუსეთ-უკრაინის ომი არ არის ეს, ეს არის რუსეთისა და დასავლეთის ომი უკრაინის ტერიტორიაზე, სადაც უკრაინელები ცოცხალ ძალად არის გამოყენებული, — ამბობენ ექსპერტები.

ვიღაც-ვიღაცებს ძალიან უნდათ, იგივე გააკეთონ საქართველოშიც — საქართველო რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების პოლიგონად აქციონ, ჩვენ, ქართველები კი საზარბაზნე ხორცად გამოგვიყენონ.

არ ღირს ამის გაკეთება — ჩვენ 46-მილიონიანი უკრაინა ხომ არ ვართ, სულ 4 მილიონამდე ვართ, თანაც კაი გვარაიანად ნაშიშმილევი და იმდენი რა ხორცი უნდა დავცივიდეს, რომ რუსეთს ერთ წევარსმებლად მაინც ვყოს...

უკრაინელები ხშირად აჩვენებენ დანგრეულ ქალაქებს და სოფლებს, ქუჩაში უპატრონოდ დაყრილ ცხედრებს, უსახლკაროდ დარჩენილ სასოწარკვეთილ ადამიანებს, რომლებსაც ერთ დღეში დაენგრათ ცხოვრება და არ იციან, რა ჰქნან.

— აი, რა საშინელებებს ჩადის რუსეთი... ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს, მშვიდობიან მოქალაქეებს ხოცავს, — ამბობს ზელენსკი და ხელს რუსეთისკენ იშვერს, იმდენს კი ვერ ხვდება, რომ, რასაც ის აჩვენებს, ეს მისი უგუნური პოლიტიკის

მხილებაა, მისი, როგორც პოლიტიკოსის, სრული კრახის ლუსტრაციაა.

ბატონო ზელენსკი, ხომ გაფრთხილებდნენ, რომ ეს საშინელება მოხდებოდა, ხომ წინასწარ იცოდით, რომ უკრაინის მიწაზე ეს ჯოჯოხეთი დატრიალდებოდა?

იცოდით, ყველაფერი იცოდით, ამიტომაც თქვენც თანამონაწილე ხართ იმ საშინელებისა, რაც დღეს უკრაინაში ხდება, ისე, როგორც თანამონაწილე ყველა, ვინც უკრაინას ომისკენ უბიძგებდა, ვინც დახმარებას, გვერდში დგომას ჰპირდებოდა, ოღონდ რუსეთთან არავითარ კომპრომისზე არ წასულიყო.

ზელენსკიმაც ინსტრუქცია ზედმიწევნით კარგად შეასრულა, შედეგი კი, რომელიც ამ დაჯილდების შესრულებას მოჰყვა, რუსული ბომბების სახით უკრაინელ ხალხს დაატყდა თავზე კომპარულ უბედურებად.

ზელენსკი... ზელენსკი... რას ავიკვამთ ეს ზელენსკი, ზელენსკიმ რომ გაბედოს და ომის შესაჩერებლად რაღაც დათმობებზე რომ წავიდეს, პირველსავე ხეზე ჩამოკიდებენ ფეხებით, მეზობელ ხეებზე კი კულუბას, არახამიას, დანილოვს, არისტოვიჩს ჩამოაკონწივლებენ.

ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს.



ფულს იხდის დასავლეთი და, ცხადია, „დაქირავებულმა“ ის მუსიკა უნდა შეასრულოს, რასაც დამკვეთი უკვეთავს, ამ მუსიკის შინაარსი კი, დაახლოებით, ასეთია: დავასუსტოთ, გავანადგუროთ რუსეთი! დიდება უკრაინას! უკრაინა აუცილებლად გაიმარჯვებს!

უკრაინა, ამ შემთხვევაში, დასავლეთის მეტსახელია, დიდება უკრაინას კი — სავალდებულო მისამღერი.

დასავლეთი, ჯერჯერობით, არ აზუსტებს, როგორ და რანაირად უნდა გაიმარჯვოს ამ ნახევრად დანგრეულმა უკრაინამ, ან როგორ უნდა განადგურდეს უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაჭიმული რუსეთი, რომელსაც ბირთვული იარაღის ისეთი მარაგი აქვს, რომ მოინდომოს, მთელ მსოფლიოს ააფეთქებს.

ასე რომ, ამ ომში რუსეთის დამარცხება ისეთივე ბლუფია, როგორც უკრაინის გამარჯვება.

თუმცა ამ ომს მაინც ეყოლება ერთი გამარჯვებული, რომელმაც იმდენი მოახერხა, რომ ერთი ფესვიდან ამოზრდილ ორ ერს, ფაქტობრივად, სისხლისმიერ ძმებს, ერთმანეთი ახოცინა, ამ ძმებს კი იმდენი ჭკუა არ ეყოთ, რომ დამსხდარიყვნენ და როგორც ძმებს შეპყვრის, ისე მოელაპარაკებინათ და რაღაც საერთო დასკვნამდე მისულიყვნენ.

— სლავები არიან, ერთი ჯიშის და ერთი ხორცის არიან და ასე როგორ იმეტებენ ერთმანეთს? — გვიკვირს ჩვენ, ქართველებს, ის კი არ

გვახსოვს, ამ ოცდაათი წლის წინათ, სწორედ ჩვენ, ქართველები, როგორ დავერიეთ ერთმანეთს და როგორ დაუნდობლობით და სისასტიკით გავუსწორდით ერთმეორეს.

ომი ისეთი სატანური მოვლენაა და ისეთ მხეცურ ინსტინქტებს აღვიძებს ადამიანებში, რომ ადამიანად ყოფნას შეგაზიზღებს.

მთავარი უბედურების და მთავარი საშინელების მიზეზი არა რომელიმე ერის ბუნებასა და ეროვნულ ხასიათშია, არამედ ომშია, რომელიც, სინამდვილეში, სრული სიგიჟე და პარანოიაა, რომლისგანაც კაცობრიობა დღემდე ვერ განკურნებულა.

ომში ყველაზე დიდი ცოდვა — ადამიანის მოკვლა, ცოდვად და დანაშაულად არ ითვლება, რადგან ომში ხარ, ომში კი მტერი გებრძვის, რომელსაც, ან უნდა დაასწრო და თვითონ უნდა მოკლა, ან ის დაგასწრებს და სიცოცხლეს გამოგასალმებს.

ასე ზოცავენ ერთმანეთს ერთმანეთისთვის სრულიად უცნობი ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთისთვის არაფერი დაუშავებიათ და არც ის ომი დაუწყიათ, რომელსაც ზვარაკად ეწიარებოდნენ.

ასე მოვიდა კაცობრიობა დღემდე, მოვიდა ერთმანეთის გვაგამბე გადავლით, სისხლის მდინარეებით, ერთმანეთის გაუგონარი ზოცვა-ფლეთით, სისასტიკით, წარმოუდგენელი ველურობით და ბარბაროსობით, კაცობრიობის ისტორია თავიდან ბოლომდე დიდი მკვლელობების ისტორიაა, რომელსაც მემკვიდრეები გმირული ომების ის-



ტორიას უწოდებენ, რადგან ასეა ეს ჩაჭვდილი ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენი ცხოვრების წესში.

— ჩვენ, ცივილიზებულმა სამყარომ უნდა დავიცვათ უკრაინა აგრესორის ბარბაროსული ქმედებებისგან, — დადავებენ მსოფლიო პოლიტიკის ლიდერები.

რომელია ეს ცივილიზებული სამყარო? ის ხომ არა, რომელიც გუშინ თუ გუშინწინ ზუსტად იგივეს აკეთებდა, რასაც დღეს პუტინი აკეთებს?

ამ „ჰუმანური“ და „ცივილიზებული“ სამყაროს ბომბები არ იყო, გუშინ თუ გუშინწინ ზუსტად ისე რომ ზოცავდა ბავშვებს, ქალებს, მშვიდობიან მოსახლეობას, როგორც დღეს რუსული ბომბები ზოცავს?

„ცივილიზებულმა სამყარომ“ ფაშისტური ელემენტებიც გამოურია თავის განცხადებებში და, ლამის არის, დამნაშავედ მხოლოდ პუტინი კი არა, მთელი რუსი ერი წარმოაჩინოს.

ასე თუ ჩავყვებით, რუსებზე ნაკლები დანაშაული არც ამერიკელებს აქვთ ჩადენილი, არც ინგლისელებს, არც თურქებს, არც ფრანგებს, არც არაბებს, არც გერ-

მანელებს, არც სპარსელებს, არც მონღოლებს... ძალიან გრძელი სია გამოვა და ჩამოვლას არ გავაგრძელებ.

ყველა ერს თავისი წილი ცოდვა უმძიმებს მხრებს და არავინ არავისზე უკეთესი არ არის.

— თქვენ ოღონდ იომეთ და იარაღს არ მოგაკლებთ, — ამბობენ ცივილიზებული სამყაროს ლიდერები უკრაინის ხელისუფლებას და ესენიც ძალიან ბედნიერები არიან, იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ბაიდეის მიერ გამოცხადებული ერთი რაკეტის ნაცვლად ორი ან სამი პუტინის რაკეტა დაუბრუნდებათ უკან „ხურდად“, რომელიც ისევ დანგრეულ მათ სოფლებს და ქალაქებს, ისევ დახოცავს მშვიდობიან მოსახლეობას.

მსოფლიო პოლიტიკის ლიდერებს მართლაც გულწრფელად თუ სურთ ამ შემხარავი ომის შეჩერება, მაშინ სანქციებზე და შეიარაღების გაძლიერება-გაფართოებაზე კი არა, მშვიდობაზე უნდა ლაპარაკობდნენ და ყველა ხერხს და ყველა გზას უნდა ეძებდნენ, რომ ომი შეწყდეს.

ამისთვის კი, პირველ რიგში, საჭიროა, შეიკრიბოთ ეს ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენლები და კიდევ ერთხელ დაელოპარაკოთ პუტინს — რა უნდა? რას ერჩის ამ მომხმე უკრაინელ ხალხს? რას ითხოვს და რატომ ითხოვს იმას, რასაც ითხოვს? რამდენად სამართლიანია მისი პრეტენზიები?

რაც რუსეთ-უკრაინის ურთიერთობაში ხდება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დატოვებული მემკვიდრეობის გამოძახილია, რომლის ავტორებიც ლენინი და ბრუშკოვი არიან.

როდის აქვთ გახდა დასავლეთი ლენინისა და ბრუშკოვის „ანდერძის“ აღმსრულებელი ნოტარიალური ბიურო, რომელიც მილიარდებს ხარჯავს იმისთვის, რომ ეს „ანდერძი“ როგორმე აღსრულდეს?



ვიცი, სულ ტყუილად დავხარჯე დრო და ენერჯია — დასავლეთი არც რუსეთს დაელოპარაკება და არც უკრაინას მისცემს საშუალებას, რუსეთთან რაიმეზე შეთანხმდეს.

წინ დონბასისა და დონეცკის სასაკლაო გველოდება და ყველანი გამალებულნი ემსადებიან იმისთვის, რომ ამ სასაკლაოზე რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი დაიხოცოს, თითქოს ადამიანები კი არა პირუტყვები იყვნენ.

დაბოლოს, იქნებ, ვინმეს მოეჩვენოს, რომ ამ წერილით რუსეთს ვესარჩლები. არა, ნამდვილად არა, რუსეთს კი არა, უბედურებაში ჩავარდნილ უკრაინას და, რაც მთავარია, ჩემს სამშობლოს, საქართველოს ვესარჩლები, რომელსაც იგივე ხაფანგში უპირებენ შეტყუებას, სადაც უკრაინა შეიტყუეს...

# ლუკაშენკოს ვიზიტი აფხაზეთში, საქართველოსთვის ენიგმანალოვანი სიგნალია

## ეს ახალი შესაძლებლობების ფანჯარა შეიძლება გახდეს

**გვესაუბრება  
დამოუკიდებელი  
უფლებადამცველი, ყოფილი  
პარლამენტარი  
დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

— ბატონო დიმიტრი, ლუკაშენკოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვიზიტი არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, ოპოზიცია გააქტიურდა და რუსეთისთვის კვლავ სანქციების დაწესებაზე აღაპარაკდა. რისკენ არის ეს ყველაფერი მიმართული?

— ვითარება სრულიად არაორდინარულია. ეს სამართლებრივ-პოლიტიკური ხასიათის კაზუსი გახლავთ. საქმე ისაა, ლუკაშენკო აფხაზეთში იმისთვის არ ჩასულა, რომ საქართველოს მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულებისთვის გაესვა ხაზი. ეს ასე არ არის! აღნიშნული ვიზიტი იმ ექსტრადინარული ვითარებიდან გამომდინარე განხორციელდა, რაც ყოველდღიურად იცვლება მას შემდეგ, რაც რუსეთ-

ალიარებას არ უკავშირდება. ამ საკითხზე ბელარუსს თავის მკაფიო პოზიცია გამოხატული აქვს. ბელარუსისა და საქართველოს რესპუბლიკას შორის 2018 წლის 22 მარტს ხელმოწერილი თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულება ეფუძნება სუვერენული თანასწორობის პატივისცემას და ტერიტორიული მთლიანობის ცნობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში! აღნიშნული ჩარჩო ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2019 წლის 1 სექტემბერს და თავისი არსით ძალიან მნიშვნელოვან პრეცედენტს ქმნის ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის განხორციელების საქმეში! როცა სახელმწიფოებს შორის მსგავსი ტიპის ურთიერთობა ყალიბდება, ეს ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთს განიხილავენ როგორც სტრატეგიულ პარტნიორებს. ამ ყველაფერს წინ უძღვოდა ლუკაშენკოს სტუმრობა თბილისში და მისი დაუვიწყარი ვიზიტი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან

„ნაცმოძრაობა“, „გირი“ და მისი სხვა გამონადენები ბელარუსის საელჩოსთან მივარდნენ და რუსეთისთვის სანქციების დაწესება მოითხოვეს. გააკვირდნენ: მთავრობა ქვეყანას დალატობს, ბელარუსთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება როგორ შეიძლებოდა და ა.შ. იმის მაგივრად, რომ მშვიდი, რაციონალური ხედვა ჰქონდეთ, ქვეყანას ზურგში დანას ურტყამენ და ყველა ღონეს ხმარობენ, რათა მსოფლიოში საქართველოს დისკრედიტაცია მოახდინონ. აბსოლუტურად ვიზიარებ საპარლამენტო ოთხეულის ხედვას იმასთან დაკავშირებით, რომ დღევანდელი ქართული ოპოზიცია არის დესტრუქციული, ქვეყნის ძირგამომთრეული დივერსიული პოლიტიკური ძალა, რომელიც კონკრეტული დასავლელი პოლიტიკოსების მხრიდან იმართება, რომლის მიზანი არის არა ქართული პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესება, არამედ საქართველოს, როგორც ტერიტორიული წარმონაქმნის გამოყენება გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის, რაც საქართველოს ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობის დაწყებას გულისხმობს.

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ პერიოდში „ინტერ-პრეს-ნიუსზე“ დაიდო „ქართული ოცნებებიდან“ წამოსული ოთხეულის საგანგებო განცხადება, რომელიც სოხარ სუბარმა გაახმოვანა. მან თქვა: როგორც არასდროს, ახლა, ძალიან მაღალია აშშ-ის საელჩოს მხრიდან იმის მცდელობა, რომ საქართველოში როგორმე მეორე ფრონტი გაიხსნასო. სუბარი ამ მიზნის მიღწევის გზაზე პლაცდარმად სწორედ ოპოზიციას განიხილავს. აშკარა ხდება, თუ რა ჯაჭვის ერთობლიობაში იყრის თავს ლუკაშენკოს ვიზიტი. ვიმეორებ, ეს მიზნად არ ისახავს ბელარუსსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გამწვავებას. ბელარუსმა მშვენივრად უწყის, საქართველოსთვის სად გადის წითელი ხაზი. სოხუმში და სამაჩაბლო საქართველოს განუყოფელი ნაწილებია. სწორედ 2019 წლის 1 სექტემბერს საქართველოსა და ბელარუსს შორის კანონიერ ძალაში შესული ჩარჩო ხელშეკრულება ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, სოხუმისა და ცხინვალის ჩათვლით, მთლიანად აღიარებს. ეს საკითხი არც გადაიხედება და არც კორექტირება მოხდება



ბა, ვინაირად ყოველივე მთლიანად წაშლის იმ სტატუს-კოს, რაც რუსეთ-საქართველოსა და ბელარუსს შორის არის ჩამოყალიბებული. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ რუსეთ-საქართველოს შორის მიღწეულ შედეგებს. მიუხედავად ჩვენს შორის არარსებული დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობებისა, რუსეთმა საქართველო არამეგობარ 55 სახელმწიფოთა ჩამონათვალში არ შეიყვანა და მასთან პრეფერენციურული ვაჭრობა განაახლა ნავთობპროდუქტებზე, ხორბლეულზე და ა.შ. ამ რამდენიმე თვის მანძილზე საკვებ ზეთებზე, თხევად აირის საწვავზე და ხორბალზე 23%-იანი კლება მოხდა. დიან, ეს გაკეთდა გლობალური ფინანსური და პოლიტიკური კრიზისების ფონზე, რაც მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში ძალიან სერიოზული პროგრესია. საქართველო სტაბილურობისკენ, მშვიდობისკენ, ტერიტორიული მთლიანობისკენ, ტერიტორიული მთლიანობისკენ, მისი პოლიტიკური ფასის აღდგენისკენ ისწრაფვის. იმპედია, ძარბო-რუსული ურთიერთობების მოწინააღმდეგეა, ვინაირადან სოხუმისა და ცხინვალის პრობლემის მოგვარების საპიტიხი პრამეში დავს. მსოფლიო კრამილის ფასილი-ტაცილი, ჩამი მამობარი გამარბისი უშუალო შუამდგომლობით, შამვილია ადვილად ჩამოყალიბოთ ისამი ტიპის მოლაპარაკამამის მომდანი, სადაც კალიან ბამრი საპიტიხი საპარტივლო სასარამლო ბადაშუმბა — დენილია უპირობოდ დაბრუნება, ეკონომიკური ინტეგრაციის შეუქცევადი პროცესები და ა.შ. ანუ, ჩვენ გვაქვს გარკვეული ბერკეტები, ინსტრუმენტები და ახლა საჭიროა ყველაფრის მობილიზაცია, რათა სანუკავარი საქმის განხორციელებას შეუდგეთ. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქარ-

თველოში ლუკაშენკოს აფხაზეთში ვიზიტი მწვავედ იქნა განხილული. ეს თემა ობიექტურად შეაფასა პრემიერმა ლარიბაშვილმა. სხვა შეფასება ამ ფაქტს ვერც ექნებოდა. თუმცა, არ დაგვავიწყდეს, რა ვითარებაში იმყოფება 2022 წლის 24 თებერვლის შემდგომი მსოფლიო წესრიგი, რომელიც იცვლება. იმედს გამოეთქვამ, რომ ბელარუსი, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან მიმართებით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ერთგული დარჩება!! მეორე მხრივ, ნიშანდობლივია, რომ ბელარუსი რუსეთის ფედერაციის მოკავშირე სახელმწიფოა და ანგარიშს უწყევს სამოკავშირეო ხელშეკრულებით ნაკისრ გარკვეულ ვალდებულებებს! პრეზიდენტ ლუკაშენკოს აფხაზეთში გამოჩენას არ უნდა მიეცეს ცალსახად ისეთი შეფასება, თითქოს ვიზიტი მიმართულია აფხაზეთის აღიარებისკენ. საკვებით დასაშვებია, ბელარუსის მხრიდან უფრო გლობალური მასშტაბის ჩვენთვის სასიკეთო პოლიტიკური პროცესის ხელშეწყობის მოლოდინი გექონდეს, რომელიც მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რაც საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში აქვს დეკლარირებული! რაც შეეხება მისი მხრიდან საქართველოს კანონის „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ დარღვევის ფაქტს, შეგახსენებთ, რომ ეს ნორმატიული აქტი არაერთხელ გამხდარა საჯიდლო ქვა ჩვენზე ხელისუფლებისთვის. თვალსაჩინოებისთვის 2016 წლის პრეცედენტიც კმარა, რა დროსაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის შემადგენლობაში მყოფმა რუსულმა დელეგაციამ და მისმა ხელმძღვანელმა ლეონიდ სლუცკიმ გადმოკვეთა, რომელიც მანამდე არაერთგვის იმყოფებოდა აფხაზეთში ფსოუს მხრიდან და რომელმაც თბილისში გამართულ ასამბლეის სხდომაზე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის



მა უკრაინაში სპეციალური სამხედრო ოპერაცია დაიწყო. კულმინაცია გახლდათ 30 სექტემბერი, რა დროსაც უკრაინის აღმოსავლეთში მდებარე ოლქები, რეფერენდუმების შედეგების შედეგად, რუსეთის ფედერაციის შემადგენელ სუბიექტებად გაფორმდა. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში თურქული ძალები გარკვეულ პოლიტიკურ ექსპანსიურ მოქმედებებს ახორციელებენ თურქეთში არსებულ მათ დასაყრდენ ძალებთან მიმართებით. დიან, ბოლო დროს განხორციელებული საპროტესტო აქციები, რაც ფორმალურად მიწის იჯარით გადაცემის საკითხს უკავშირდება, საბოლოოდ, თავს იყრის გარკვეულ პოლიტიკურ პროცესში. ყოველივემ რუსეთის აფიქრებინა, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და მისდამი მეტი მხარდაჭერის მიღების მიზნით, პიარული სვლა გაეკეთებინა და ლუკაშენკო აფხაზეთში შეეყვანა. დიან, ეს არ გახლდათ ლუკაშენკოს პერსონალური გადაწყვეტილება, არამედ, აქ აშკარად კრემლის ხელი ჩანს. აფხაზეთში ლუკაშენკოს შესვლაზე უფრო მნიშვნელოვანი სერიოზული მიზეზიც არსებობს. მიზანი არ არის აფხაზეთის აღიარების კონსტატაცია ლუკაშენკოს მხრიდან. პესკოვმა მკაფიოდ განმარტა: ლუკაშენკოს ვიზიტი ბელარუსის მიერ აფხაზეთის

და ერთგვარი აღმსარებლური სიტყვები იმასთან დაკავშირებით, რომ მართლმადიდებლური საქართველო მისთვის ისეთივე ახლობელია, როგორც მშობლიური ბელარუსია. ბუნებრივია, ასეთი მენტალტეტიის, ღირებულებების ადამიანისთვის ამ ფასეულობების უარყოფა და საქართველოს, როგორც მეგობარი ქვეყნის საწინააღმდეგოდ დემარშის განხორციელება, არც მორალური და არც პრინციპული თვალსაზრისით, ადვილი არ არის. აფხაზეთში მისი ვიზიტი სხვა მიზნით იყო განპირობებული — გეოპოლიტიკური ჯახის, ჭიდილის გამო, რაც ამ შემთხვევაში, ანგლოსაქსური პოლიტიკის მწარმოებელ ფლაგმანს — თურქეთს უკავშირდება, რომელსაც არ სძინავს, პუტინის დავალებებს განურჩევლად ასრულებს. ანუ, აფხაზეთში მდგომარეობის გამწვავება, ეს არის სწორედ ჩვენს ქვეყანაში ვერმიღწეული მეორე ფრონტის განახლების მცდელობა. მეტიც, დეტონაცია საქართველოსთვის. თუკი აფხაზეთი დეტონატორი იქნებოდა და ჩვენი ოპოზიციაც ამაზე რეაგირებას მოახდენდა, ამ შემთხვევაში გარკვეული სამხედრო კონფრონტაციული ხასიათის ვითარება დამყარდებოდა და მიზანიც მიღწეული იქნებოდა. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ტრანსფარანტებით შეიარაღებული



პრეზიდენტად მხარი გვიცხადებს წერეთლის კანდიდატურას დაუჭირა! აქედან მხოლოდ ერთი რამ გამოდინარეობს, რომ კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, ჩვენთვის ინტერესების გათვალისწინებით, გადასახედია, რადგან ის სათანადოდ ვერ ან არ მუშაობს! **ლუკაშენკოს მიზნები უმძიმესია იმიტომ განხორციელდა, რათა საპარტიო-ლორთის ახალი მოლაპარაკებების მოვლანი მოზარდებს და ახალი შესაძლებლობების ფანჯარა გახსნას. მოვლენები ამ კუთხით უნდა დაინახონ. დიან, ვიფორმებ, ბატონო ლუკაშენკოს აფხაზეთში გამოჩენა ჩვენი ხელისუფლების მიზნების ახალი მოვლანი საფუძველი სრულიად განსხვავებული პირობებით, რაზეც დაფუძნდა მოუწოდებ! დროა, საპარტიო-ლორთი გამოიჩინოს თვითმყოფადი ქვეყნის თვისება და საკუთარ პრობლემებთან დაკავშირებით იმ სახელმწიფოსთან დაიფიქროს საზღვარი, სადაც ამ პრობლემის მოგვარების გზები არსებობს.**

— პუტინმა ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის მიზნით სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა. რუსი მიგრანტები ლარსის გამშვებ პუნქტს მოაწვდნენ. რამდენად სახიფათო ვითარება?

— ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც საქმე წინასწარ გათვლილ ნაბიჯებთან გვაქვს, რაც პირველ რიგში, შემდეგს გულისხმობს: ომში ჩართული რუსეთის ფედერაციისთვის, სოციალური ფონის დამძიმების შემთხვევაში, დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ის ლიბერალური გაერთიანება, რომელსაც ქვეყნის შიგნით გარკვეული დესტაბილიზაციის გამოწვევა შეეძლო. როცა ნაწილობრივი მობილიზაცია გამოცხადდა და საზღვრები არ დაიკეტა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ერთ რამეს ემსახურებოდა: ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც საჭიროდ არ თვლიდა, ნაწილობრივი მობილიზაციის პროცესში მონაწილეობდა მივიღო და ჩართული ვიყო სამხედრო-პოლიტიკურ პროცესში, რასაც რუსეთი საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე ახორციელებს, უბრალოდ, ქვეყნის გარეთ გასულიყო. ამ შემთხვევაში რუსეთის ოფიციალური თავს უფრო მშვიდად იგრძნობდა. ამიტომ გზები ყველა მიმართულებით გახსნილი იყო — ფინეთის, საქართველოს, ყაზახეთის და ა.შ. დღევანდელ რუსეთს თითოეული გამშვები პუნქტიდან დაახლოებით 10-12 ათასი ადამიანი ტოვებს და სხვადასხვა ქვეყნებს თავს აფარებს. გამონაკლისი არც საქართველოა. ამჟამად რუსეთმა ქვეყნის დატოვების პირობები გააკაცურა იმ ასაკის მიღწევით ადამიანებისთვის, რომლებიც ომში გაწვევას ექვემდებარებიან. ისინი ადგილზე მოწოდებიან და სამობილიზაციო ცენტრებში იგზავნიან. ამ მომენტით ისარგებლა აშშ-მ. მან გამოაცხადა, რომ რუსეთის ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც ქვეყნის დატოვებს, ის პოლიტიკურ თავშესაფარს სთავაზობს. შედეგად, საქართველოში შემოსული რუსების დაახლოებით 80% თურქეთში აშშ-ის საელჩოში მიემართებიან, რათა გასაუბრების შედეგად თავშესაფარი მიიღონ და შემდგომ აშშ-ის ან ევროპის

კონტინენტზე გადავიდნენ. საქართველო ბევრი მათგანისთვის ბოლო ნავსაყუდელი არ არის. ძალიან ბევრი რუსი საქართველოს ტოვებს.

— ბატონო დიმა, ჩვენთან დასავლური დირექტორები ყოველგვარი რუსული დაგმობასთან ასოცირდება. რით არის ყოველივე განპირობებული?

— ეს, ჩვეულებრივ, კონვენციური ომისთვის დამახასიათებელია. აქ ფსიქოლოგიური ტიპის ელემენტებია ჩადებული, რამაც საზოგადოებრივი აზრის სასურველი ფორმირება უნდა უზრუნველყოს. ამ შემთხვევაში გამოცხადებულ ომში ყოველივე რუსულის დემონიზირება ერთ-ერთი მიზანია, რასაც დასავლეთი შესანიშნავად აღწევს. მას ისეთი ტექნოლოგიური მეთოდები გააჩნია, რასაც რუსეთი ვერ ფლობს. ამ უკანასკნელს გააჩნია ისეთი ძლიერი ბრძოლის იარაღი, როგორცაა ბირთვული ტრიადა. მიუხედავად ამისა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ კონვენციური ომის წარმოებაში რუსეთმა აშკარა უპირატესობას მიაღწიოს. ყოველ შემთხვევაში, 6 თვის მძიმე რუსული შეიარაღებული ძალების კონტიგენტი უკრაინის ფრონტზე გარკვეულ წარმატებას აღწევდა, მაგრამ შემდგომ, სპეციალურმა ოპერატიულმა ძალებმა უკან დაიხიეს და გავლენის ზონები საგანგაშო ნიშნულამდეც კი შემცირდა. დღეს მობილიზაცია უკ-



ვე, აქტიურ ფაზაშია. ოფიციალურად გამოცხადდა 24-27 სექტემბრის რეფერენდუმის შედეგები და ხელი მოეწერა დეკლარაციას, რომლითაც ლუკანსკი, დონეცკი, ხერსონი და ზაპოროჟიე რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შევიდა. ეს, დაახლოებით, 110 ათასი კილომეტრია. ამ რესპუბლიკებში და, ალბათ, მათ გარეთაც, მილიონიანი რეზერვის შეყვანა მოხდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სამობილიზაციო რეზერვის რესურსული შესაძლებლობა 18 მილიონი ჯარისკაცია, აქედან, ოპერატიული 2 მილიონი და, ამის გარდა, არის კიდევ 5 მილიონი ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელი, რომლებიც მზად არიან, საომარ მოქმედებებში ჩაებნენ. აქამდე რუსეთი უკრაინის ადმოსავლეთში მიმდინარე სპეცოპერაციაში 150-ათასიანი კონტინენტით იყო წარმოდგენილი, ხოლო დღესდღეობით სახეზეა მილიონიანი არმია, რომელიც მზად არის, სათანადო ამოცანები შესასრულოს. ერთ მილიონსა და 150 ათასს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა, რომელსაც, ალბათ, გაცილებით მეტი ოპერატიული ამოცანების შესრულება შეუძლია, ვიდრე აქამდე იყო შესაძლებელი. ამიტომ, მთავარი ბატალიები წინ არის და, ალბათ, ოქტომბერი ყველაზე ცხელი თვე იქნება, რამაც უკრაინის პოლი-

ტიკური ბედი უნდა უზრუნველყოს. — პუტინი ბირთვული იარაღის გამოყენებით იმუქრება. ამ შემთხვევაში რა საფრთხეებია მოსალოდნელი?

— ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ნაწილობრივ სწორია, ნაწილობრივ კი — უტყობი. სიმართლე ისაა, რომ რუსეთი 2005 წლიდან ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ისეთი ტიპის დოქტრინას ფლობს, რაც გულისხმობს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობას, სადაც კი რუსეთის სახელმწიფოს ორგანულ ინტერესებს საფრთხე ემუქრება. საუბარია იმ ტერიტორიებზე, რომელსაც რეფერენდუმების შედეგად, რუსეთის ფედერაცია საკუთარ სუბიექტებად განიხილავს. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი სახის დაძაბულობა ლუგანსკში, ხერსონში, ზაპოროჟიესა თუ დონეცკში აღქმული იქნება, როგორც კრემლზე თავდასხმა. თუკი ეს თავდასხმა ისეთი ხასიათის იქნება, რასაც საბრძოლო ვითარებაში გარდატეხი როლის შეტანა შეეძლება, ამ შემთხვევაში რუსეთი, ალბათ, ბირთვულ იარაღს გამოიყენებს. ამის თაობაზე არაერთი განცხადება გაკეთდა. ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენება ომის ბედის გარანტირებული გარდატეხაა, თუკი ამას საპასუხო რეაქცია არ მოჰყვება. ვფიქრობ,

საპასუხო რეაქცია, ალბათ, არც მოჰყვება იმიტომ, რომ აქ საუბარია ტაქტიკური და არა სტრატეგიული ბირთვული იარაღის გამოყენებაზე. ამ შემთხვევაში უკრაინა, რომელიც არც ევროკავშირის წევრია და არც ნატოსი, ბუნებრივია, თამაშარე მდგომარეობაში რჩება. ევროპა საკუთარი უსაფრთხოების ქოლგის დაზიანებას არ დაუშვებს. ვფიქრობ, გარკვეული გარიგება მოხდება და უკრაინის შემდგომ ბედთან დაკავშირებით მოლაპარაკებები დაიწყება. მანამდე ვხედავთ, რომ „ჩრდილოეთ ნაკადი-1“ და „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ის დაზიანებას ევროპაში დიდი აფიოტაჟი მოჰყვა, ევროს კურსი კიდევ უფრო დაეცა. ფაქტობრივად, ევრო დოლართან მიმართებით დევრადაცის გზას დაადგა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ბრიტანეთი და აშშ თავის მიზანს აღწევენ. ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ევროკავშირი და მისი ფლაგმანი სახელმწიფო გერმანიაა, რომლის დასუსტება დიდი ბრიტანეთის გეოპოლიტიკური მიზანია. დიან, „ჩრდილოეთ ნაკადი-1“ და 2-ის დაზიანება ანგლოსაქსური გეოპოლიტიკის ჩანაფიქრის ფარგლებში, პირადად ევროკავშირის დასუსტებას უკავშირდება.

თამარ შველიძე  
555 23 28 24

# დიპლომატიის გარდა მსოფლიოში სხვა სამართლებრივი ბერკეტები არ არსებობს

გვესაუბრება უფლებადამცველი, ადვოკატი ბრიგოლ გავნიძე



— ბატონო გრიგოლ, გასულ კვირას რუსეთისა და ბელარუსის პრეზიდენტები, ვლადიმირ პუტინი და ალექსანდრ ლუკაშენკო სოჭში შეხვედრის შემდეგ აფხაზეთში, კერძოდ, ბიჭვინთაში ჩავიდნენ. ამით დაარღვიეს საქართველოში მოქმედი კანონი ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. რას ნიშნავს მათი მოქმედება?

— ბელარუსის პრეზიდენტის აფხაზეთში ჩასვლა საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, წმინდაწმინდა პროვოკაცია გახლდათ. არ გამოვირიცხავ, ბიჭვინთაში სტუმრობით მათ მოსინჯვს, შეამოწმეს საქართველოს ხელისუფლებისა და მოსახლეობის რეაქცია, აინტერესებდათ, რა პოზიციას დაიკავებდა ჩვენი ქვეყანა. აღსანიშნავია, რომ დღემდე ბელარუსთან, რომელიც რუსეთის უახლოესი მხარდამჭერია, ნორმალური ურთიერთობა გვქონდა ჩვენსა და რუსეთს შორის არსებული დაძაბული ვითარების ფონზე. ფაქტობრივად, ალექსანდრ ლუკაშენკომ, ამავდროულად, საერთაშორისო ნორმები დაარღვია. მართალია, საქართველოს ხელისუფლების პროტესტის შემდეგ ბელარუსის საელჩომ განაცხადა, რომ ჩვენს პრეტენზიებს აცნობებდა თავის მთავრობას, მაგრამ ხინჯი მაინც დაგვრჩა საქართველოში.

— მოსალოდნელი ხომ არ არის, ლუკაშენკომ აღიაროს აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა?

— პირველ რიგში, თხოვნა მექნება, უფრო ზუსტად, მოვითხოვ, შინაურებისგან და უცხოელებისგანაც, ნუ მოიხსენიებენ საქართველოს ძირძველ ტერიტორიას, სამაჩაბლოს, „სამხრეთ ოსეთად“. ამით ჩვენი ვადარებთ მეორე ოსეთის არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე. ბელარუსის, კერძოდ, ლუკაშენკოს მხრიდან ორი ოკუპირებული ტერიტორიის დამოუკიდებლობის აღიარება უდიდესი შეცდომა იქნება. ამით ლუკაშენკო დაანგრევს ჩვენი და მისი ქვეყნის ურთიერთობას, რაც დანაშაულის ტოლფასია იქნება. საერთოდ, პუტინი და ლუკაშენკოს თუ მართლაც სურთ საქართველოსთან ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა, ასეთი მკვეთრი, პროვოკაციული ქმედება არ უნდა განეხორციელებინათ.

— რა სამართლებრივი გზები არსებობს, რომელსაც საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მიმართოს?

— მეტი რაღა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ, ნებისმიერ ფორუმზე ღიად საუბრობენ რუსეთის ანექსიას. ახლანდელ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩვენი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი ბრწყინვალედ გამოვიდა, დეტალურად განიხილა ქვეყნის საერთაშორისო პრობლემები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება. დიპლომატიის გარდა, დღეს მსოფლიოში სხვა სამართლებრივი ბერკეტები არ არსებობს. ამ-

იტომაც უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება და პრობლემების მოგვარებაში ჩაერთოთ საერთაშორისო საზოგადოება, ორგანიზაციები. ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლება გამოძენის რუსეთთან არსებული პრობლემების მოგვარების გზებს. მით უფრო, ქვეყანას საერთო საზოგადოებრივი მფლობელისგან, თურქეთისგანაც ელოდება. მათი პრეზიდენტის, რეზეფ ტაიფ ერდოღანის ოცნებაა, ჯავახეთში დაბრუნდნენ 1943 წელს გადასახლებული ე. წ. თურქი მესხები. ამის გარდა, ის აჭარას თურქეთის ტერიტორიად მიიჩნევს. ამიტომაც ვითხარით, საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერს აკეთებს ქვეყნის საკეთილდღეოდ, თორემ აქ მეორე ფრონტის გახსნის შემთხვევაში აღარაფერი დაგვრჩებოდა. გასათვალისწინებელია, რომ თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და აქ, ჩვენთან შიდა არეულობის შემთხვევაში, ნებისმიერი საბაბით შემოჭრის გამო არავინ განსჯის. მით უფრო, ერდოღანი ანგარიშს არავის უწევს, მხოლოდ საკუთარი ქვეყნისა და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს.

— რუსეთში მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ საქართველოში რუსეთის უამრავი მოქალაქე შემოვიდა. ამბობენ, რომ მათ შორის სპეცსამსახურების თანამშრომლებიც არიან. ხომ არ გვემუქრება მათი მიღებით რამიმე საფრთხე?

— თუ რომელიმე ქვეყნის, ამ შემთხვევაში, რუსეთის მოქალაქე თავს არიდებს ომში მონაწილეობას და თავშესაფარს ითხოვს, უარის თქმა არ შეიძლება. თავად უკრაინის ხელისუფლებამ მიიწვია ისინი, ვინც უარს ამბობს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობაზე. რა სტატუსით მივიღებთ, ეს უკვე სამთავრობო სტრუქტურების, სასამართლოს გადასწავლეობა. ქვეყანამ პაციფისტებს უარი არ უნდა უთხრას მიღებაზე. რაც შეეხება სპეცსამსახურებს, „შეთქმულების თეორია“ გაზვიადებულად მიმაჩნია. ვინც ოდნავ მაინც იცნობს მათი მუშაობის სპეციფიკას, დამეთანხმება — დიდი ქვეყნების, მით უფრო, რუსეთის სპეცსამსახურები თავიანთ ავანტურას ასე ღიად არსად აგზავნიან. ამიტომაც ვაი-პატრიოტებმა თავი დანებონ ხელოვნური დაძაბულობის შექმნას, მათ გარეშეც ბევრი საქმეა გასაკეთებელი ქვეყანაში.

გიან გურღული  
551 71 27 07

# პანდორას ყუთი გაიხსნა და „ნაცმოძრაობის“ შიდა სამზარეულო გამოაჩინა

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ სამხარაშვილიძე:

— ბატონო რამაზ, „ნაცმოძრაობაში“ დიდი განხეთქილებაა...

— ოპოზიცია ცხელ შემოდგომას ხელისუფლებას კვირდებოდა, თუმცა, მუქარა ბუმერანგით შემოუბრუნდა. ალბათ, ასეთი ცხელი შემოდგომა ოპოზიციას დიდი ხანია, არ ჰქონია. ძირითადი ოპოზიციური პარტია — „ნაცმოძრაობა“, დღეს სრულ გაუგებრობაშია, ვერ უპოვია გამოსავალი ა.შ. რაც მთავარია, დაპირისპირება ჩრდილოდან გამოვიდა და ერთმანეთს ტალახს საზოგადოების დასახნად ესვრიან. საგარეოდ, ადრე უფრო დიდ ტალახში ტრიალებდნენ, მაგრამ დახურულ კარს მიღმა. პანდორას ყუთი გაიხსნა და, როგორც ჩანს, მისი პარტიის, რომელიც ახლად „ნაცმოძრაობის“ სამზარეულოს გულდაგულ მაღაჟდა.

პირადად „ნაცმოძრაობაში“ მძაფრ ცვლილებებს დიდი ხანია, ველოდი იმიტომ, რომ უკვე მათე წელია, ნაცები ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის იბრძვიან და მიზანს ვერ აღწევენ. მაგრამ ხომ დგება მომენტი, როცა მარცხის დროს პოლიტიკური ხაზს უნდა გადახედო. მარცხმა კითხვის ნიშნები ზომ უნდა გააჩინოს?! „ნაცმოძრაობა“ ათი წელია, მარცხს განიცდის და ამ პარტიაში მაინც არაფერი იცვლება. ასე როდემდე გაგრძელდება. გავიხსენოთ, „მოქალაქეთა კავშირი“ დამარცხდა და კიდევ გაქრა, ერთი სეზონი კი ვერ გაძლო. თუმცა, დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი სწორედ „მოქალაქეთა კავშირმა“ წარმოშვა. ეს, დიდწილად, დანაშაულზე აღმოცენებული ჯგუფებია. მაგრამ ფაქტია, რომ თავად „მოქალაქეთა კავშირი“ გაქრა. ბევრი პარტია გაქრა, მეტ-ნაკლებად შედეგებიანი კი. „ნაცმოძრაობას“ მუდმივად ხელისუფლების ჩანაცვლების ამბიცია აქვს. კი ბატონო, პოლიტიკურ პარტიას ეს ამბიცია უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამ ნაბიჯისკენ მომხრეების რაოდენობის ზრდის ფონზე უნდა მიდიოდეს. როგორ მოიქცა „ნაცმოძრაობა“? — მან ფოკუსირება რადიკალიზმზე მოახდინა და მიზნად მხოლოდ თავისი მომხრეების შენარჩუნება გაიხსნა. ამან შეამცირა მათი მომხრეების რიცხვი. თუ ასე გაგრძელდა, ნაცების მხარდამჭერების რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდება. ზოგადად, საზოგადოებაში რადიკალიზმს ძალიან მცირე ნაწილი ემხრობა, მეორე პოლუსზე აბსოლუტურად რადიკალურად პასიური ნაწილია, დანარჩენები შუაში არიან, რომელთაც რადიკალიზმი კი არა, ცხოვრება უნდათ. ასეთი მომხრეების ტენზია „ნაცმოძრაობაში“ თავი დაანება, მხოლოდ ხელისუფლების მოწინააღმდეგეების მხარეს დგომა გადაწყვიტა. პასიური ნაწილი ხელისუფლების მომხრეები არიან. ზოგადად, ოპოზიცია ჩვენთან არაპოპულარულია. ნაცები მეტ-ნაკლებ პოპულარობას მიჰყვანენ ინარჩუნებენ. მედიას უნდა, მის პარტიას უფრო მეტი მომხრე ჰყოლოდა,

რასაც ეწინააღმდეგებიან ძველი ნაცები და, მათ შორის, სააკაშვილის ბიძა, რომელიც სასწრაფოდ რადიკალურ მოქმედებებს ითხოვდა, რათა მიშა გაეთავისუფლებინათ. მაგრამ რევოლუციის მოსაწყობად ხალხია, ხომ საჭირო. ამაზე აღარ ფიქრობენ. ნაცების გარშემო მიდის ბრძოლა, თუ ვინ მოიპოვებს არაკანონიერ ფინანსებს. რაში გამოიყენებენ არაკანონიერ ფულს, ეს დონორის პოლიტიკურ გემოვნებაზე დამოკიდებული. თუ დონორი ჩათვლის, რომ რადიკალიზმში უფრო მისაღებია და, როგორც ჩანს, მთავარი დონორი სწორედ ამ პოზიციასზეა, ასე შედეგს ვერ მიაღწევენ, რადგან რადიკალიზმს ბევრი მიმდევარი არ ჰყავს. ასე რომ, მიუხედავად მყიფე შედეგებისა, თუ რადიკალიზმს გააძლიერებ, ბევრი ხალხი არ გამოგყვება და ისევ მცირე ჯგუფის ამარა დარჩები. ახლაც ეს ბრძოლა მიდის.

— არაკანონიერი ფინანსები ახსენეთ. ეს რა ფულია?

— საგარეოდ, ეს ფული იმ ფონდებიდან მოდის, სადაც თანხები არაკანონიერი გზით გროვდებოდა. გახსოვთ, შუალაქში ნოტარიუსები როგორ აწერინებდნენ მოქალაქეებს ხელს სწორედ ამ ფონდის სასარგებლოდ, პირადი ქონების გადაცემაზე. ამ მიზეზით ხალხი ციხეებში ხვდ-

ლებამ არ დააბრუნებდა, ხოლო თუ წამყვანი ოპოზიციური პოლიტიკური ძალა იქნებოდა, სოლიდური შემოსავალი მაინც ექნებოდა. ასე რომ, ხელისუფლებისთვის ბრძოლა ამ პარტიის დეკორაციული ნაწილია. ამიტომ ითხოვს მედია: პოლიტიკა გაფართოვდეს, მასშტაბური გახდეს და მოსახლეობის გარკვეული ფენების ინტერესები და კეთილგანწყობა მოიცვას. მედია, ამ შემთხვევაში, იდეალისტობს. იმიტომ, რომ შევიწროვებულია იმ ჯგუფზე ორიენტირებული პოლიტიკით, რომელიც რადიკალიზმისკენ იხრება და ნაცების ამომრჩეველია, ისინი თავიანთ ფულს მაინც მიიღებენ. ეს, უბრალოდ, ამომრჩეველის მოტყუებაა. ამომრჩეველს ატყუებენ, რომ ხელისუფლებისთვის, ივანიშვილის დასამზობად და მიშას გამოსაშვებად იბრძვიან. ამ დროს, რეალურად, იმ ფულის მისაღებად იბრძვიან, რაც, როგორც წამყვანი ოპოზიციური პარტიას ეკუთვნის. ამიტომ უფრო ხილვებიან თავიანთ ამომრჩეველს — ნაცები ისე იქცევიან, როგორც მათ მხარდამჭერებს სურთ და მთელი მოსახლეობის მასშტაბით გავლენების გაფართოებაზე არც ფიქრობენ. წესით, ხელისუფლებაში მოსვლის მსურველმა გავლენები უნდა გააფართოვოს და ბევრი ამომრჩეველი



ბოლა და იქ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. დაიხ, ეს თანხები მხოლოდ პირად ჯიბეში არ მიდიოდა. ნაცებმა — მიშამ და მიხამ გუნდმა პარტიული კორუფცია შექმნეს. ანუ, არაკანონიერი ფული მიდიოდა არა პირად სარგებლობაში, არამედ პარტიის. ისევე, როგორც ქურდებს აქვთ „ობშიაკი“. ესეც ზომ გარკვეული ქონების გაერთიანებაა, რომელიც არ შეიძლება ვინმეს პირად ინტერესებს აკმაყოფილებდეს, არამედ ამით ქურდების მთელმა გუნდმა უნდა ისარგებლოს. აი, ეს სისტემა შემოიღეს ნაცებმაც. იგი ახლაც მუშაობს და ახალი ფული მოაქვს. აქედან გამომდინარე, „ნაცმოძრაობას“ შემოსავლები არ აკლია. ეს, ისევე და ისევე, საქართველოდან ძალიანობით წადებული ფულია.

— როგორ ფიქრობთ, რა სურს მთავარ ოპოზიციურ ძალას?

— მთავარ ოპოზიციურ ძალას ბიუჯეტიდან არცთუ მცირე დაფინანსება აქვს. ასეთი გავეშვებული ბრძოლის ერთ-ერთი მოტივი სწორედ დაფინანსებაა. ნაცებმა თავადაც მშვენივრად იცოდნენ, რომ ქართველი ხალხი მათ ხელახლა ხელისუფ-

ლები მიზიდოს. ნაცებს ეს არ ადარდებოდა. თორემ შესანიშნავად იციან, რომ ხალხი მათ მხარს არ უჭერს. „წინ, ევროპისკენ“ აქცია რომ გამართეს, რატომ იმალებოდნენ?! — სცენაზე არ ჩანდნენ იმიტომ, რომ მათ მიმართ ხალხის დამოკიდებულება მშვენივრად იციან, მაგრამ ეს არ აწუხებთ სწორედ იმიტომ, რომ ისინი ხელისუფლებაში მოსვლას არ აპირებენ. მათ ურჩევნიათ, სახელისუფლო მართონ რიგით მეორე იყვნენ.

— 2008 წლის ომის მერე, ნაცები ხელისუფლებაში მაინც დარჩნენ. 2012 წელს დაკარგეს მმართველობა, მაგრამ არ გაკეთებულა ანალიზი — რატომ არ უნდა ხალხს ეს პარტია? მათ შეცდომების გამოსწორებაზე არც კი უფიქრიათ.

— იმიტომ, რომ ეს არაფერში სჭირდებოდათ. ისინი ამომრჩეველს ხმის მიცემას აიძულებდნენ. ყველას გვახსოვს, როგორ დადიოდნენ უბანში მათი წარმომადგენლები, ეს შეწოლის ერთ-ერთი მექანიზმი იყო. 2012 წლის არჩევნების მერე სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდა. აღმოჩნდა, რომ ნაცებმა არჩევნებში



რა შედეგაც აჩვენეს, სოციოლოგურ გამოკვლევაში ამაზე 40%-ით ნაკლები მხარდამჭერი ჰყავდათ. ეს ნიშნავს, რომ ნაცებმა 2012 წლის არჩევნები გააყალბეს. უბრალოდ, დღევანდელ ხელისუფლებას ხალხისგან იმდენად დიდი მხარდამჭერა ჰქონდა, ისეთი თვითორგანიზება გაკეთდა, რომ ნაცებს რესურსი აღარ ეყოთ, თორემ 40% საკმაოდ დიდი ციფრია. 2012 წელს ხმები 40%-ით გააყალბეს. რატომ ვართ დარწმუნებული, რომ დანარჩენ არჩევნებში ნაცების სასარგებლოდ ხმები არ გაყალბებულა?! ნაციონალებს ყველა სტრუქტურაში თავიანთი მხარდამჭერები ჰყავთ და გაყალბების ტექნოლოგიები შესანიშნავად იციან. დიდი ეჭვი მაქვს, რომ გარდა ამ პატარა ჯგუფისა, მათ საარჩევნო შედეგებს გამყალბებლების მთელი არმია უდგას. დაინტერე-

ნიზაციას ვეძახით?

— რა თქმა უნდა, უდავოდ, ეს პრობლემაა. ნაცების პრობლემები გადაჭრის მკვეთრ მაგალითად ნიურნბერგის პროცესი მომყავს-ხოლმე. მაშინ სასამართლო დანაშაული დაადგინა და მთელი პარტია დამნაშავედ გამოაცხადა. „ქართულ ოცნებას“ საყვედურობენ: რატომ არ აწყო ასეთ პროცესსო? — ნაცების წინააღმდეგ ასეთი პროცესი რომ მოწყობილიყო, ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში პოლიტიკოსების ჯგუფები შეხმატებულად გამოაცხადებდნენ: აი, „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ ოპონენტებს დევნიდა. ეს ერთი მხარეა. არსებობს კიდევ მეორე მხარე — ყველაზე დიდი დანაშაულებები, რაც „ნაცმოძრაობას“ მიუძღვის, ეს გახლავთ რუსეთის დაკავშირებული ომი, მათთვის სტრატეგიული ობიექტების გადაცემა. ასევე დავით გარეჯის სადავო ტერიტორიების საკითხი. ამ საყვედურების წინ წამოწვივით, ჩვენ, ძალაუნებურად, რუსეთს და აზერბაიჯანს დაუპირისპირდებოდით, რისთვისაც მზად არ ვიყავით. შეხედეთ, რა ხდება უკრაინასთან დაკავშირებით. ახლა, როცა მას ყოველდღიურად მილიარდებს უგზავნიან, ამ დროს ჩვენთან მხოლოდ წყალი გამოაგზავნეს. ჩვენს ომში, პრობლემებში კაპი არავინ ჩადო. უკრაინის პრობლემებში კი ჩადეს იმიტომ, რომ ის ევროპის ტერიტორიაა. ფაქტია, რომ უკრაინა დასავლეთისთვის სხვა ქვეყანა აღმოჩნდა და საქართველო — სულ სხვა. ნიურნბერგის პროცესის მსგავსი აქ რომ დაგვეწყოს, ცალკე მიშას წინააღმდეგ და ცალკე რუსეთის, მაშინდელი დასავლეთი და რუსეთი ჩვენ წინააღმდეგ პირს შეკრავდა. იმიტომ, რომ მაშინდელი დასავლეთისთვის მიშა მაინც დემოკრატიის შუქურა იყო, ივანიშვილი კი — რუსეთის ოლიგარქი. ასეთი სასამართლო, ნიურნბერგის პროცესი გამოდგება მაშინ, როდესაც ერთად დადგება ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა. ასეთი გაერთიანების გარეშე, თუკი სასამართლო პოლიტიკური დაპირისპირების საგანი თვითონ გახდა, ნიურნბერგი ვერაფერს მიაღწევდა. გაიხსენეთ, პუტინმა ზელენსკის შეუთვალა: სააკაშვილს მოქალაქეობა აღუდგინეთო. პუტინმა სააკაშვილზე იზრუნა. რატომ? — იგი დასავლეთისა და რუსეთის ერთობლივი პროექტია. თუ ამ ვერსიას მივყავით, ნათელი გახდება, რომ სააკაშვილის გუნდზე სასამართლოს გამართვის შემთხვევაში, ორივე — დასავლეთიც და რუსეთიც ჩვენ დაგვარტყამდა.

— ნაცების ერთი დაპირისპირებული მხარე მეორეს საყვედუ-

რობს: მიმა ციხეში ჩატოვით, მისთვის არ იბრძოლებო. რა ელის „დემოკრატიის შუქურას“?

— დემოკრატიის შუქურა ნელ-ნელა გაიმჭვარტლება, ჩაქრება იმიტომ, რომ უკვე თავდაც ატყობს: საქართველოშიც და უცხოეთშიც „წონა“ დაკარგული აქვს. გვარამიას ციხიდან გამოშვებაზე უფრო მეტს საუბრობენ, ვიდრე მიმას. სააკაშვილი აღარ აინტერესებთ. „ქართული ოცნებებიდან“ წამოსული ოთხეულის თქმით: დასავლეთი „ვარდების რევოლუციის“ გამოკრებას ცდილობდა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. ფაქტია, 2003 წლის სცენარის გამოკრება არ გამოვიდა. სააკაშვილი აღარ არის ისეთი ვარსკვლავი, როგორც 2003 წელს იყო. მაშინ მისი რეალური პოლიტიკური სახე არავინ იცოდა და სააკაშვილში ყველა იმას ხედავდა, რაც სურდა. ახლა ისეთ ადამიანს, რომელზეც ამ-

ლა ათი ათას კაცზე მეტი გამორბის რუსეთიდან, მათ შორის, საქართველოშიც და ჩვენ ამ დროს საზღვარს ვუკეტავთ?! ანუ, მეორე ფრონტის გახსნაში ხომ სწორედ ეს იყო ჩადებული: უკრაინას დახმარებოდნენ და აქ მეორე ფრონტი გაეხსნათ. აგერ, უსისხლოდ გამოდის ეს საქმე იმიტომ, რომ დემოკრატიები რუსეთიდან მორბიან და ნაცები გაიძახიან: კარი არ გაუღოთო, რათა ისევ უკან დაბრუნდნენ და ომში საბრძოლველად წავიდნენ?! ეს დიმილის მომგვრელია. მეორე მხრივ, ყველა ერთი არის ის, რომ უცხოვს შემოსვლა არ სიამოვნებს. ოპოზიციამ შეთხზა: ამდენი რუსის შემოდინება საქართველოს საფრთხეს უქმნისო. რა საფრთხეს?! არგუმენტად მოჰყავთ: ისინი ისეთი ჯანმრთელები არიან, პუტინის ბრძანებით აქ ხელახალ ფრონტს გახსნიანო. რად უნდა პუტინს ხელმეორედ ფრონტის გახსნა, როცა რუსის ტან-



ბობენ: ფსიქიატრიული მკურნალობა სჭირდებაო, ნაკლებად დაეფრდნობიან, როგორც საქართველოში ისე უცხოეთში. მიმას მისმა მომხრეებმა ძალიან ცუდი საქმე გაუკეთეს. მასზე ზრუნვით და იმის ძახილით: მკურნალობა სჭირდება და ქვეყნიდან გაიყვანოთო, ისეთი იარაღი მიაკერეს, მხარს აღარავინ დაუჭერს. წესით, სხვაგვარად უნდა მოქცეულიყვნენ: პირველმა პირმა შეიძლება რაღაც არ იცოდეს, ან არაფერი იცოდეს, ან დავიწყებული ჰქონდეს. ასეთი პრეზიდენტები არსებობდნენ, მაგალითად, რეიგანი, რომლის ფუნქცია კაბინეტმა აიღო და არავის გაუგია, რომ მას რაღაც უნარები დაკარგული ჰქონდა. მიმას იდეები მუდმივად უნდა გაუღებოდა იყო ისე, რომ მას ამის შესახებ არც კი სცოდნოდა. შეეძლოთ მისი პოლიტიკური სახე გაეკეთებინათ. ნაცები მხოლოდ მიმას ავტორიტეტზე, ქარიზმაზე არიან მიმჯდარი და ამით იკვებებიან.

— რა რესურსი აქვს ოპოზიციას, ხელისუფლება ვადამდეღარჩვენებზე წაიყვანოს?

— გარდა დესტაბილიზაციისა, სხვა რესურსი, არჩევნების ხაზით, თავდაც ავიწყდებათ. მხოლოდ რევოლუციური რესურსებს უვლიან გარსს, მაგრამ არაფერი გამოსდით. ცოტა ხნის წინ ევროპის თემით მანიპულირებდნენ, რაც ხალხს გულზე ხედებოდა, ახლა გაჩნდა მეორე თემა — რუსები. ქალი, რომელიც რუსეთიდან ფულს იღებს, ლარის სასაზღვრო პუნქტთან მივარდა, რათა რუსების შემოსვლა გააპროტესტოს. დაუშვით, მათ ხელისუფლებაც აპყვა და რუსებს საზღვარი ჩაუკეტა. ეს ხომ პუტინის საქმის გაკეთებაა. დაუკვირდით, რა ხდება: უკრაინელები მოგვიწოდებდნენ, ომში ჩაერთეთო. აქაც ამბობდნენ: ათი ათას კაცს მაინც ხომ შევაკავებთ ქართულ ფრონტზე და ეს უკრაინას წაადგებაო. ახ-

კები თბილისიდან ნახევარი საათის სავალზეა. ამით იმის თქმა მინდა, რომ რუსეთმა აქ ფრონტის გახსნა თუ მოინდომა, ეს ხალხი სულაც არ სჭირდება. ამ პანიკის გამოცხობით ნაცები მომხრეების მოპოვებას ცდილობენ. მსგავსი თემები უკრაინა-რუსეთის ომის ფონზე, სულ გაჩნდება. მეეჭვება, ეს თემები „ნაციონალიზმის“ რევოლუციური გზით ხელისუფლებაში მოსვლისთვის გამოადგეს.

— სანამ ნაცებში განხეთქილებაა, პარალელურად, 12-პუნქტიანი დავალების შესასრულებლად მუშაობა მიმდინარეობს. ამჯერად პოლარნიზაცია თავად „ნაციონალიზმის“ შიგნით გადაინაცვალა.

— მიუხედავად იმისა, რომ ევროპელები ამ 12 პუნქტს სერიოზული ტონით ახსენებენ, მეეჭვება, ეს სერიოზული მიზეზი იყოს. იგივე პუნქტების შესრულება უკრაინას და მოლოდინსაც მოსთხოვს, თუმცა, სტატუსი ისე მიანიჭებს. მათ შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია თავად უკრაინაზე, აწყობთ თუ არა ახალი ქვეყნის მიღება. თან, მათგან ასე მომლოდინე. როცა აღმოჩნდება, რომ აწყობთ, მეერ მიხედავს, თუ როგორ გადაფურცლონ ეს 12 პუნქტი, თავად იპოვებინ. იტყვიან: ბევრი პუნქტი შესრულდა, გაუმარჯოს საქართველოს მოძრაობას ევროპისკენო. პოლარნიზაციას რაც შეეხება, ევროპა რომ დაინახავს: ოპოზიციური პარტიებში იმდენი პოლუსია, რამდენი ადამიანიც არის, მიხვდება, რომ ეს მოთხოვნა არასწორი იყო. ევროპაშიც რაღაც ცვლილებები უნდა მოხდეს. იტალიაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია, ამერიკაშიც ელოდებიან და ა.შ. მგონია, რომ პოლიტიკური მენტალიტეტის ცვლილებების ეპოქა იწყება, სადაც სულ სხვა პირობებზე იქნება საუბარი.

თამარ შველიძე  
555 23 28 24

# თუ საქართველოში უსხოური ვალუტის შემოღება გაბრძნდება, ლარი სტაბილური იქნება

გვესაუბრება  
საბანკო საქმის ექსპერტი,  
პროფესორი **ლია მლინაძე**:

— ქალბატონო ლია, საქართველოს საზღვარს მიგრანტების ტალღა მოაწყდა. პატარა ზომის ლია ეკონომიკის ქვეყნისთვის ამდენი ადამიანის შემოდინება რამდენად საფრთხის შემცველია?

— რამდენიმე თვის წინანდელ პერიოდს თუ გადავხედავთ, მიგრანტების შემოსვლამ საქართველოში, ლარის კურსის სტაბილურობას ხელი შეუწყო. რადგან მათ რუსეთიდან თან დიდი ფული წამოიღეს. ქვეყანაში შემოსულების პირველი ტალღა შედარებით არახელმოკლე, ფინანსურად უზრუნველყოფილი პირები იყვნენ, რომელთაც საკუთარი თავის რჩენა და პლუს, ქვეყანაში ფულის შემოტანა შეეძლოთ. ამ ყველაფერმა საქართველოს ეკონომიკას ხელი შეუწყო იმით, რომ ბიზნესის გაქირავებაზე, გაყიდვებზე მოთხოვნა გაიზარდა. ანუ, პარალელურად, საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის შემოსავლებიც გაიზარდა. ეს დადებითი მომენტი გახლდათ. დღეს საქართველოში შემოდინება არა მარტო მდიდარი, არამედ ხელმოკლე ადამიანებიც. ისინი, დიდი ალბათობით, საქართველოში დარჩენის შემთხვევაში, შეეცდებიან, აქ ბიზნესები აწარმოონ. ესეც დადებითი მომენტი, ვინაიდან ჩვენს ქვეყანას ბიზნესი აკლია. დიან, საქართველოს საკუთარი ძალებით განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის კეთება უჭირს, ვინაიდან ჩვენთან საკრედიტო რესურსები საკმაოდ ძვირია. დარწმუნებული ვარ, მიგრანტების მიერ შემოტანილი თანხები საქართველოს ეკონომიკას ძალიან წაადგება. ამიტომ, ვერავითარ კატასტროფას ვერ ვხედავ იმაში, რომ საქართველოში მიგრანტები შემოდინდნენ. გავისხენოთ, აშშ-ის ისტორია — დღესაც კი ამერიკის ეკონომიკა სწორედ მიგრანტების ხელშეწყობით ჰყვავის. უფრო მეტიც, ამერიკა ჯაკვან, გონიერ ადამიანებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებს და თავის ეკონომიკაში სამუშაოდ ექაჩება. ამიტომ, ასეთი სახის მიგრაცია საქართველოს ეკონომიკისთვის ცუდი ნამდვილად არ არის.

— საქართველოში ორ თვეში 364 რუსული და ბელორუსული ბიზნესი დარეგისტრირდა. რა დადებითი და უარყოფითი შედეგები

მოჰყვება გოველივს?

— იმ პირების უმეტესობას, ვინც საქართველოში შემოდის, შემოსავალი საზღვარგარეთ გააჩნიათ. სწორედ ამიტომ, მათ ამ ბიზნესების დარეგისტრირება სჭირდებოდათ. როგორც იცით, უცხოეთიდან რუსეთში თანხების გადმორიცხვა შეზღუდულია. საქართველოში კი რუსები ამ თანხებს თავისუფლად იღებენ. შესაბამისად, ბუნებრივია, ბიზნესის რეგისტრაცია სჭირდებათ. ბევრი მათგანი აქ ბინადრობის მოწოდებებსაც აკეთებს. ეს ყველაფერი ეკონომიკისთვის კარგია იმიტომ, რომ საქართველოში ფული შემოდის. აქვე მინდა საზგასმით აღვნიშნო, ეს არ არის იმ სახის სესხები, რომელსაც, ვთქვათ, მთავრობა ან „საქართველოს ეროვნული ბანკი“ იღებს. ფაქტობრივად, ქვეყანაში ფული ცვივა და ვიმეორებ, ამაში ცუდი არაფერია. თუ რუსს მიწის იჯარით აღება და მისი დამუშავება მოუნდება, ამაში საგანგაშო ნამდვილად არაფერია. თუნდაც პატარა საწარმოს თუ გახსნიან, ამას პირიქით, უნდა მივსალმებოდეს, როგორც მთავრობა, ასევე, მოსახლეობაც. დამატებით, თან კვალიფიციური მუშახელი, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პირობაა.

— მაგრამ რუსეთიდან მიგრანტების უკონტროლო შემოდინება რამდენად უარყოფითად აისახება ინფლაციაზე, რამდენად რისკის ქვეშ დგება შრომის ბაზარი? ეს ხალხი აქ სამუშაოს ითხოვს, არადა, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია.

— მასმედიის საშუალებებით ძალიან ხშირად ისმის, განსაკუთრებით მსხვილი ბიზნესმენების საყვედურები იმის თაობაზე, რომ ისინი კვალიფიციურ კადრებს ვერ პოულობენ. რომ ქვეყანაში კვალიფიციური კადრების შემოშლია. სწორედ ასეთი კვალიფიციური კადრები შემოდინდნენ რუსეთიდან, რომელთაც მუშაობა შეუძლიათ. ფაქტობრივად, ჩვენთან შრომის ბაზარი მკვდარია იმიტომ, რომ სამუშაო ადგილები არ არსებობს. თუ ქვეყანაში შემოსული მიგრანტები ამ სამუშაო ადგილებს შექმნიან, უმუშევრობა, დიდი ალბათობით, შემცირდება. კვალიფიციურ მიგრანტებს ბევრი ქვეყანა ნატურლობს, რათა ეკონომიკა წინ წასწიოს. ჩვენთან რუსეთიდან სწორედ კვალიფიციური მიგრანტები შემოდინდნენ და არა არაკვალი-



ფიციური მოხუცი დამლაგებლები. ასე რომ, პირიქით, კვალიფიციური სპეციალისტები ქვეყანას მხოლოდ წაადგება. მინდა გითხრათ, რომ რუსი სპეციალისტები უკეთ არიან ნახვავი და შესაბამისი პრაქტიკაც გააჩნიათ. ეს ცოდნა და გამოცდილება მათ საქართველოში შემოაქვთ. თუ სახელმწიფო და საზოგადოება რუსებს აქ მუშაობის საშუალებას მისცემს და მათ პიროვნულად არ დაატერორებს, მერწმუნეთ, ისინი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დაჩქარებაში ძალიან სერიოზულ როლს ითამაშებენ.

— რაც შეეხება ჩვენს ვალუტას, ლარი გამყარდა, თუმცა ფასები, პირიქით, იმატებს. არადა, ტურისტებიც და არატურისტებიც მრავლად არიან, რომელთაც ქვეყანაში ვალუტა შემოაქვთ. რატომ არ ასახავს ლარის გამყარება ეკონომიკურ სინამდვილას?

— როგორც მოგეხსენებათ, საქართველო 80% იმპორტზეა დამოკიდებული. ბუნებრივია, მთელს მსოფლიოში ახლა ფასების ზრდის ტენდენცია მიდის. ევროპაში, აშშ-ში, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში ძალიან ინფლაციაა. ანუ, ჩვენს ძირითად პარტნიორ ქვეყნებში, რომელთაგანაც საქონელი შემოგვაქვს, საკმაოდ მაღალი ინფლაციაა. ბუნებრივია, ის, რომ იმპორტირებული საქონელიც უკვე გაძვირებული შემოდის, ინფლაციის მაჩვენებელზე აისახება. ანუ, ამაში საქართველოს ბრალი არაფერია. ჩვენ ინფლაციის წარმოქმნას ვერ შევძლებთ, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში ლარის ძალიან მცირე რაოდენობაა. ფაქტობრივად, ეს იმპორტირებული ინფლაციაა. უნდა გითხრათ, რომ ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის თანახმად, ინფლაციასთან ბრძოლის ვალდებულება გააჩნია სწორედ „საქართველოს ეროვნულ ბანკს“, რომელსაც კანონში შავით თეთრზე უწერია, რომ იგი ვალდებულია ფასების სტაბილურობა უზრუნველყოს, რასაც სამწუხაროდ, არ აკეთებს.

— საქართველოს მოქმედი კომერციულმა ბანკებმა ვალუტის ფიდვა-გაყიდვიდან 354 მილიონ ლარამდე შემოსავალი მიიღეს. ესეც არის განმაპირობებელი მიზეზი იმისა, თუ რატომ ადის-ჩამოდის ლარის კურსი ადამ-დადამ?

— კომერციული ბანკები ვალუტის კონვერტაციისაგან შემოსავალს



# თბილისში მრავალი საუკუნეა სხვადასხვა რელიგიის, და ეროვნების წარმომადგენლები ყოველთვის სიყვარულით თანაცხოვრობენ და ეს შექმნა ამ საოცარმა ქალაქმა

„საღამო მშვიდობის, ძვირფასო მეგობრებო, პატივცემულ საზოგადოება, დიდი პატივია დღეს ჩემთვის თქვენთან ერთად თბილისობის აღნიშვნა.

მინდა, რამდენიმე სიტყვით მოგმართოთ და გითხრათ, თუ რაოდენ საამაფოა და ბედნიერებაა, რომ ვართ ჩვენ ერთ-ერთი გამორჩეული, უნიკალური ისტორიის მქონე ქვეყანა და სწორედ დედაქალაქი თბილისი არის გამორჩეული თავისი ისტორიით, კულტურით მრავალენოვანი, მრავალკონფესიური საზოგადოებით. თბილისი მართლაც ქმნის ტოლერანტობის უნიკალურ მაგალითს. ჩვენთან, ამ ქალაქში მრავალი საუკუნეა სხვადასხვა რელიგიის, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის თუ ეროვნების წარმომადგენლები ყოველთვის სიყვარულით თანაცხოვრობენ და ეს შექმნა ამ საოცარმა ქალაქმა. მე მინდა, ამ სცენიდან თქვენთან ერთად მადლობა გადაუხადო ჩემს მეგობარს, თბილისის მერს კახა კალაძეს. კახამ ძალიან ბევრი გააკეთა ჩვენი ქალაქისთვის, ბევრს აკეთებს და ჩვენ გვჯერა, რომ კიდევ უფრო მეტს გააკეთებს ჩვენი დედაქალაქისთვის. ჩემთვის დიდი პატივია, დავესწრო ამ ცერემონიას. კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ჩემი პირადად და მთავრობის სახელით ჩვენს პატივისცემას, მივესალმები კიდევ ერთხელ საპატიო მოქალაქეებს, საპატიო თბილისელებს, მინდა დაგიდასტუროთ ჩვენი პატივისცემა, ჩვენი სიყვარული,“ – აღნიშნა პრემიერმა.

ლონისძიებზე შეკრებილ სტუმრებს სიტყვით მიმართა თბილისის მერმა კახა კალაძემ.



სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ 2022 წლის საპატიო მოქალაქეები დააჯილდოვა და შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა. ახალი სტატუსი 20-მა საპატიო თბილისელმა მიიღო. ინფორმაციას დედაქალაქის მერია არცვლავს.

„მივესალმები თბილისს – ჩვენს მუდამ თანამედროვე, მოდერნისტულ, ახალგაზრდულ და, რაც მთავარია, უძველეს დედაქალაქს, რომელიც უკვე 16 საუკუნეა, ქმნის თბილისური ცხოვრების, სიყვარულის, ტოლერანტობის, მეგობრობის, კულტურის საოცარ ისტორიებს. მივესალმები ჩვენს თანაქალაქელებს. მინდა, განსაკუთრებული სიყვარულით მივესალმო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მყოფ თანამოქალაქეებს. ჩემო თბილისელებო, თქვენ ხართ თბილისის დღევანდელი, მისი სახე და ანარეკლი. სწორედ თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი ქალაქის განვითარება და წინსვლა. მე, როგორც დედაქალაქის მერი, გპირდებით, რომ ყველაფერს გააკეთებ იმისთვის, რომ ჩვენი ქალაქი იყოს კიდევ უფრო ლამაზი, მოწესრიგებული და განვითარებული“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მიმდინარე წელს თბილისის

საპატიო მოქალაქეები გახდნენ:  
1. შალვა ამონაშვილი – ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, დღემდე აქტიურად განაგრძობს საგანმანათლებლო საქმიანობას. ბატონი შალვა გახლავთ პედაგოგი-ნოვატორი; ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია და სახელმძღვანელო.



## საპატიო თბილისელები

2. ყველასთვის საყვარელი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი – თამაზ არჩვაძე. ბატონმა თენგიშმა ქართულ თეატრსა და კინოში 100-ზე მეტი როლი განასახიერა. ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის თენგიზ არჩვაძეს მინიჭებული აქვს „ხელოვნების ქურუმის“ წოდება; ქართული თეატრალური და კინოხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და გამორჩეული საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის იგი დაჯილდოებულია ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით.

ყველაზე დიდი ჯილდო მაინც ის სიყვარულია, რომელსაც ბატონი თენგიზი მისი მასწურებლისგან გრძობს და იღებს.

3. „სიყვარულისთვის კარგო, ჩვენ მხოლოდ სიყვარულისთვის გაუჩნდით და ვცხოვრობთ!“ – ცნობილი პოეტი და მთარგმნელი, ტარიმალ ჭანტაშია, არაერთი პოეტური კრებულის, საბავშვო ლექსების კრებულის,

კრიტიკული წერილებისა და თარგმანების ავტორია. მისი ლექსები თარგმნილია მრავალ უცხოურ ენაზე. ბატონი ტარიმელი არის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიისა და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

4. საქართველოს სახალხო

ატერული ფილმი; მიღებული აქვს სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზები. ბატონი მერაბი წლების განმავლობაში იყო საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის პედაგოგი, კინოს ენისა და სტრუქტურული



არტისტი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, წმინდა გიორგისა და ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენების კავალერი, ლეგენდარული კინორეჟისორი მლადარ შამხაღაძე – ადამიანი, რომლის შემოქმედებას ტაშს უკრავს მსოფლიო, მისი კინოფრაზებით საუბრობს მთელი საქართველო. ვფიქრობ, ზედმეტია ჩამოვთვალო ფილმები, რომლის რეჟისორიც ბატონი ელდარი გახლავთ. ბედნიერი ვარ, რომ მაქვს პატივი, გადავცე თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

5. მერაბ კოკოჩაშვილი – საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი. მას გადაღებული აქვს არაერთი მხ-

კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

6. საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის თეატრის მსახიობი ჯემალ ლაღანიძე – მას შესრულებული აქვს მთავარი როლები მრავალ სპექტაკლსა და 20-ზე მეტ მხატვრულ ფილმში. ბატონ ჯემალს მიღებული აქვს იპოლიტე ზეინიასა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიები. მას მინიჭებული აქვს ღირსების ორდენი ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების, მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისთვის.

7. მინდია უბრაძეაძე – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იგი სხვადასხვა დროს იყო საქართველოს უზენაესი

სი სასამართლოს თავმჯდომარე, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში პირველი ქართველი მოსამართლე, „იურისტთა მსოფლიო ასოციაციის“ და „სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის“ წევრი. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორი. მინდა უგრეხელიძეს მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრემია, უმაღლესი კვალიფიკაციის მოსამართლის წოდება, მინიჭებული აქვს ღირსების ორდენი.

8. პოეტი ვახტანგ ჯაფარიძე – არაერთი პოეტური კრებულის ავტორი. მისი ლექსები თარგმნილია უცხოურ ენებზე; არის შოთა რუსთაველის სახელობის „საბასა“ (ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის) და გალას (ნომინაციაში: „წლის საუკეთესო სამაგიდო წიგნი“) პრემიების ლაურეატი. ასევე, მიღებული აქვს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია. ბატონი ვახტანგის სახელი მაინც

ავტორი. მის პერსონალურ გამოფენებს უმასპინძლა მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებმა. არის საერთაშორისო ფოტოკონკურსების მონაწილე და ლაურეატი.

11. თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა გურამ ბეჰანიას – ფიზიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ბერიტაშვილის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი, ტენისის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBDO) წევრი. აზერბაიჯანის, სომხეთის ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტის და ჩეხეთის პურკინიუს საზოგადოების საპატიო წევრი. ბატონი გურამი არის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მას მინიჭებული აქვს ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემია, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

12. ილია ხაროლინაშვილი – საქართველოს ენერგეტიკის დარგის, გაზის სექტორის მოღვაწე, გაზის გამანაწილებელი

ასევე, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის და საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ნავთობისა და გაზის მრეწველობის საპატიო მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორი. ილია ხაროლინაშვილი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

13. ლაშრა იაშვილი – მუსიკოსი, პიანისტი, თბილისის მერიის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის N2 ხელოვნების სკოლის დირექტორი. ქალბატონ ლაურას დამსახურებით შექმნილი საგანმანათლებლო კერა. 65-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში მან აღზარდა ასამდე მუსიკოსი, რომლებიც დღემდე წარმატებით აგრძელებენ აქტიურ პედაგოგიურ და შემოქმედებით საქმიანობას, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ქალბატონი ლაურა დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის საპატიო წოდება.

14. ინჟინერ-მშენებელი რამაზ ასათიანი – მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოები საქართველოს არაერთ კურორტზე. მისი მონაწილეობით განხორციელდა თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის რეკონსტრუქცია. ბატონი რევაზი იყო ვოკალური ანსამბლ „თბილისის“ წევრი. იგი დღემდე საქმიანობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. არის ორი გამოგონებისა და სამეცნიერო შრომების ავტორი; მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში; დაჯილდოებულია ღირსების მედლით.

15. არქიტექტორი, პედაგოგი ვახტანგ ღვინია – შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. ბატონი ვახტანგი არის არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო წევრი; იგი არის 160-მდე სამეცნიერო სტატიისა და 250-მდე პროექტის ავტორი; მიღებული აქვს არაერთი საერთაშორისო პრემია, მათ შორის არქიტექტურის მსოფლიო ბიენალეს პრემიები.



16. მაია გომიშა – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის დირექტორი, საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი. ქალბატონი მაია არის საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს მოლეკულური ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის უნივერსიტეტების საერთაშორისო ქსელის (INUNIMAI) კოორდინატორი, ევროპის ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის აკადემიის (EAACI) და ევროპის რესპირაციული საზოგადოების (ERS) აქტიური წევრი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული აკადემიური და პროფესიული განვითარების სხვადასხვა პროგრამაში ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, აზიასა და სხვა ქვეყნებში.

17. თბილისი მრავალეროვანი და მრავალენოვანი ქალაქი. სწორედ ესაა მისი განსაკუთრებული და სიძლიერე, მისი კულტურის და ისტორიის საფუძველი. მინდა, თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება გადაეცემა ბატონ ვან ბანიშვილს, რომელიც სომხურ ენაზე გამომაგალი გაზეთით ემსახურება საქართველოს და თბილისს. ბატონი ვანი არის გაზეთ „ერასტანის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს სომეხთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრი. იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით საქართველოში ჟურნალისტის განვითარებისა და ქართულ-სომხურ ურთიერთობაში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საქმიანობისთვის.

18. საპატიო თბილისელის წოდება გადაეცემა თბილისში დაბადებულ აზერბაიჯანელ პოლიტიკოსს და დიპლომატს, ჰასან აზიზ ოღლი ჰასან-ნოვს. იგი არის აზერბაიჯანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი. ბატონი ჰასანი სხვადასხვა წლებში იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლნოეთის რესპუბლიკაში; ასევე, იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის პირველი მუდმივი წარმომადგენელი გაერო-ში.

19. თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მინდა გადაეცემა ილია ხაროლინაშვილს, ფრანგ მუსიკოსსა და პიანისტს, რომელსაც ქართული ფესვები აქვს. ელიზაბეტს, ბრიტანეთის სამეფო ფილარმონიულ ორკესტრთან ერთად, ჩაწერილი აქვს ბეთოვენის, შოპენისა და მოცარტის საფორტეპიანო კონცერტები; გამოშვებული აქვს 20-ზე მეტი მუსიკალური დისკო. ის არის საფრანგეთის ღირსების ორდენისა და ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში განსაკუთრებული ღვაწლისთვის ორდენის კავალერი.

20. და ბოლოს, თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა ადამიანს, რომელიც იქცა მსოფლიო მოდის ერთგვარ გამოწვევად. დეზან ბასანლია – ქართველი დიზაინერი, ადამიანი, რომელმაც მოხსნა ყველაანარი ჩარჩო და სტანდარტი და მოდის ინდუსტრიაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. დეზანა მოდის სახლ „ბალენსიაგას“ კრეატიული დირექტორია. სხვადასხვა წელს მუშაობდა ისეთ მოდის სახლებში, როგორებიცაა: Louis Vuitton, Vetements. არის ამერიკის მოდის დიზაინერთა საბჭოს (CFDA Awards) მფლობელი.

მინდა, თითოეულ მათგანს მიულოცო თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება და ვუსურვო წარმატებები ჩვენი ქალაქის და ქვეყნის საკეთილდღეოდ. კიდევ ერთხელ გილოცავთ „თბილისობას“, რომელიც არ არის მხოლოდ ქალაქის დღე. „თბილისობა“ არის დღესასწაული, სადაც ყველაზე კარგადაა გამოხატული თბილისის ხასიათი, მისი მრავალფეროვნება, სიჭრელე, სტილი და მიზანდასახულობა – იყოს მუდამ გამორჩეული ქალაქი, – განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა თბილისის თითოეულ საპატიო მოქალაქეს თბილისის სიმბოლური გასაღები, სიგელი და გულსაბნევი გადასცა.



ყველაზე მეტად გალაკტიონთან და „უცნობთან“ ასოცირდება.

9. თბილისი ყოველთვის გულით ესალმება კაცს, რომელსაც „თბილისის ქუჩებში ხეტიალი უნდა“ – ჯამალ საფიავშილი, კომპოზიტორი, საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ფედერაციის წევრი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი. მის სახელს უკავშირდება არაერთი საავტორო კონცერტი, გამოშვებული აქვს სიმღერების ათი ალბომი.

10. და მაინც, ალბათ არავის უხეტილია თბილისის ქუჩებში იმდენი, რამდენიც ფოტოხელოვან ბადრი მადაძეპორიას – რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდენტი „ოქროს ფრთა“ ლაურეატი, არაერთი ფოტოკრებულისა და წიგნის ავტორი, საქართველოსა და თბილისზე 18 საიმიჯო ალბომის ავტორი და გამომცემელი. გამომცემლობა „პალიტრა ლ“-თან ერთად, იგი არის პროექტ „ჩემი საქართველოს“ იდეისა და ფოტოების

სისტემების ზოგადი თეორიის ფუძემდებელი, ახალი ტექნოლოგიების, საქართველოს გაზის მეურნეობის განვითარების კონცეფციის ავტორი. ბატონი ილია საქართველოს გაზის დარგში პირველი მეცნიერებათა აკადემიური დოქტორია. იგი გახლავთ 32 გამოგონების და 98 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორი. არის საერთაშორისო (აშშ) ინჟინერ-ენერგეტიკოსთა ასოციაციის წევრი,



# შეკვეთილის ხეთა გაჯისხეა



ჭავჭავაძემ ზუგდიდში გააშენა უნიკალური ბოტანიკური ბაღი, რომელსაც ბაღალი არ ჰყავდა მთელს კავკასიაში, მაგრამ ბატონმა ბიძინამ გააკეთა გაცილებით მასშტაბური და მიზანმიმართული — დენდროლოგიური პარკი შეკვეთილში, სადაც რამდენიმე ასეული ჯიშის იშვიათი სილამაზის სამამულე ხეა განთავსებული. ეს ხეები მოსახლეობისაგან შეისყიდა ბატონმა ბიძინამ, ხოლო ხეების ტრანსპორტირებისას ვითომ „დაზიანებული ხიდები“, „გაოხრებული გზები“, „წაფერდილი ელექტროენერჯის ბომბები“ განაახლა, თვალის გასახარად გააკრიალა იქაურობა. ამასთან, სოლიდური ფინანსური დახმარებით (ხის საფასური) ასობით ოჯახმა ამოისუნთქა ეკონომიურადაც.

შეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს, რომ ოქრომრავალ კოლხეთში უხსოვარ დროში გიგანტური სალოცავი გვიმრის ხეები ზარბუნდენ, რომლებიც დროთა მსვლელობაში გადაშენდნენ, გახრობდნენ, გაგვიმრუჭდნენ და აწველითაც ითიბება.

აკადემიკოს არნოლდ გეგეჭკორისგან, პროფესორ გიორგი ფარულავასგან თუ სხვათა გადმოცემით ვიცი, რომ გვიმრის ხეები ზელანდიაში ახლაც იზრდებიან პრეისტორიული ფაშვიანობით; ზღვისპირა ჭაობნარ ადგილას, გურიაში, დღესაც არის კუნძული დიდგვიმარონის სახელწოდებით, სადაც იმ პერიოდში არსებული ხე-გვიმრის უკანასკნელი ეგზემპლარები ხანძარს გადაუბუგავს.

სანდო არხით მივაწვდინე ხმა უამრავი საშვილიშვილო პროექტის სულსჩამდგმელ პიროვნებას საქართველოში — ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რათა ზელანდიიდან ჩამოეტანა ხე-გვიმრის რამდენიმე ეგზემპლარი თავისი დენდროლოგიური პარკისთვის, რათა სიმბოლურად აღდგოლიყო ის მითთაყამინდელი კოლხეთი, ის საქართველო, რომელიც ოდესღაც ამაღლებული და სწორუპოვარი იყო მთელს დედამიწაზე. ამ შეხმინებიდან 7-8 თვეც არ გასულა, და როგორც სანდო

წყაროებიდან ვგებულობ, დღეს ოცამდე ხე-გვიმრა შეკვეთილის დენდროლოგიური ბაღის ბინადარია.

დაიხ, ბატონი ბიძინა ივანიშვილის სახით გამოგვიჩინდა კაცი, რომელიც საშვილიშვილო საქმეებს აკეთებს, აღორძინებს სოფელს, ქალაქს, აღაშენებს ეკლესია-მონასტრებს, მობოშებულ სულს ანიჭებს ცათაფრენებს, ფლორას, ფაუნას, ბუნებას ზოგადად, როგორც ადრე, უფლის წესით და კანონით რომ სუფევდა, მაგრამ დესტრუქციული ძალები არ ისვენებენ, კვლავინდებურად ხის ტარგაჩრილი ნაჯახებით ჭრიან ჩვენს მაუკვდავებელ სიცოცხლის ხეებს.

ახლა კი ამ ყველაფერზე ტრიბუნას ვუთმობთ სულიერების მეცნიერებაში ხელდასხმულს, მედიუმს ადამიანებსა და ცაბათობ-დემეტოს შორის, წმინდა ნინოს ეკლესიის დეკანოზს, მამა მიქაელს (ბუკია):

„ — ოჯახი იგივე ხეშარადია.

გული და გონება ერთმანეთთან პარმონიულად, შეთანხმებულად მოუშობს. ჩვენდა სასიქადლოდ უნდა ითქვას, რომ ქალსა და მამაკაცს შორის არსებული ეს პარმონიული ბალანსი საქართველოში არასდროს დარღვეულა, რადგანაც საქართველო იყო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. (მანამდე ამ ფუნქციას ასრულებდა აიუტ მეფეს და კირკე (ცირცვა). ესეც, ეტყობა, ერთგვარი კოდი იყო ქართველი კაცისთვის, რის გამოც განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა დედის მიმართ. ამიტომაც არის, რომ მართო ქართულად ჰქვია პლანეტას ჩვენსას დედამიწა. მიწისგან არის ადამიანი შექმნილი და შესაბამისად, ამიტომ ვუწოდებთ მას დედას. საქართველოში ყოველთვის იყო დედის კულტი. ეს აისახა ჩვენს მეტყველებაში ეტიმოლოგიურადაც: დედაენა, დედაბოძი, გუთნისდედა, დედასამშობლო და სხვა. სწორედ ამის დამსახურება იყო, ცოტა მოგვიანებით დედის

ერთგან, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა კინემატოგრაფზე რომ გაამახვილა ყურადღება, მხოლოდ კინო არ უგულისხმია. კინოსთან ერთად იგი ჩვენს ყურადღებას მიაქცევდა ფერწერას, პოლიფონიას, ქორეოგრაფიას, სიტყვაკაზმულ მწერლობას. მოკლედ, ხელოვნებას ზოგადად, რომელიც დღეს უკიდურესობამდე დაკნინებულია.

რა ხდება „მწერალთა სახლში?“ იგი დღეს კულტურის სამინისტროს მიერ გაუქმების ნაცვლად ზეპირივილიგირებულია, გამოცხადებულია ქართული მწერლობის ერთადერთ ჭირისუფლად. ამ დროს ჭეშმარიტი მწერლები ჯაყოს ზიზნების მდგომარეობაშია. გარეგნულად, თითქოს, ყველაფერი წესრიგშია, ტარდება ღონისძიებები მწერალთა სახლის დარბაზში, კვლავდებურად მიდიან მწერალთა კავშირის თავმჯდომარეები ორშაბათობით პირველიდან სამ საათამდე კოლეგებთან შესახვედრად და მორჩა, ამით ამოიწურა მწერლობის, მწერლის სოციალურ-შემოქმედებითი პრობლემები. ამ დროს ე.წ. თავისუფლების მქადაგებელი კალამგირები, სინამდვილეში საქართველოს სახელმწიფო-

ებრივი მოშლისთვის დაქირაებული აგენტების დივერსიული მასკულატურა ითარგმნება და გამოშხურდება მთელს მსოფლიოში ქართველი ხალხის ბიუჯეტით ქართველი ხალხის მოსაკვდინებლად მორალურ-ფიზიკურად. აქ დიდი მიხვედრილობა არ უნდა, რომ ქართული მწერლობის სახელთ მოდრეიფე „მწერალთა სახლის“ „მწერლობა“ თხემით ტერფამდე მონოპოლიზებულია „ნაციონალების“ მიერ და ემსახურება მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის დისკრედიტაციას მსოფლიოს თვალში...

კი, ბატონო, მოხდა მათი ლუსტრაცია, მაგრამ აუადსახსენებელი კოჰაბიტაციის შემწეობით, ნაციონალური სიმსივნე ჩაენერგა „ოცნების“ სხეულს და ამ ბაცილამ უამრავი ჯანსაღი „ორგანიზმი“ ჩაითრია... არადა, ადრე თუ გვიან კარზე მოგვიკაკუნებს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან — ყარსის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების ვადები ამოწურულია და საქართველოს მომავალი ბურუსითაა მოცული.

წიგნიერი ქართველისთვის ცნობილია, რომ ეკატერინე




სვეტიცხოველი, ედემის ხეთა — ცნობად-ყოფადისა და სიცოცხლის მომინტებელი ორი ხე-ფენომენის ერთ ხედ, ერთ დედაბოძად შესინთეზების მისტერია, რომელიც იღუმალებს თითქოსდა ყველას თვალწინ მდებარე სიტყვაში — ოჯახი და რომელიც სინამდვილეში გაცილებით მეტისმოდცეულია — მარადიული სიცოცხლის საბრძანისი, სადაც კაცობრიული ორი საწყისი — მდედრი და მამრი ერთი შინაარსით იტვირთება, ერთ ჭეშმარიტებად შეგარსიანდება ხოლმე.

ოჯახი, პავლე მოციქულის თქმით, არის ეკლესია, როგორც ცოცხალი ორგანიზმი; ეკლესია — ეს არ არის მარტო შენობა, ეს არ არის მარტო პატრიარქი ან ეპისკოპოსი თუ მღვდელი, ეს არის ერთობა, კრებული. თვითონ ეკლესია ხომ სიტყვა კრებულს ნიშნავს, შემოკრებს, სადაც თავი, გონება ქრისტეა, რომელიც მართავს ამ ეკლესიას, რომელიც განაგებს მას და კანონს უწესებს. ასევე არის ოჯახიც — ოჯახი არის პატარა ეკლესია. მაქსიმე აღმსარებლის განმარტებით, ოჯახის თავი, ანუ გონება არის ქმარი და გული, ანუ გრძნობა — ქალი. შესაბამისად, ადამიანი ჯანმრთელი მაშინ არის, როცა

წილხვედრ ქვეყანაში დედამ რომ იქადაგა. ის, რაც ვერ შეძლეს ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ (ქ)ანანაელმა, წმინდა ნინომ მოახერხა, დედის ბუნების მატარებელმა, სრულიად უმწყო გოგონამ. როგორც ფსალმუნში წერია: „არცა მსხვირბარკალნი მამაკაცი სინდეს უფალს“. წმინდა ნინომ ის შეძლო, რაც ვერაზინ იხელიწიფა საქართველოში და თან ეს შეძლო ისეთ ქვეყანაში, რომელსაც თავისი სახელმწიფოებრიობა ჰქონდა, ჰყავდა თავისი მეფე და ჰქონდა თავისი რწმენაც. ძნელია, როცა ასეთ ქვეყანაში, ასეთ საზოგადოებაში მიდიხარ და ახერხებ იმას, რასაც ჰქვია მთელი ერის მოქცევა. ეს იყო დედის კურთხევა, დედა ღვთისმშობლის და უფლის ძალმოსილებით, რასაკვირველია.

რაც შეეხება ცოდვას, იგი ხომ იმ აკრძალული ხის ნაყოფის გემოს ხილვით, მიღებით შემოვიდა ჩვენში, მაგრამ თვითონ ხემ შვა მერე სიცოცხლეც, ანუ ჯვარცმა. ჯვარი მანამდე სამარცხვინო, სადამსჯელო იარაღად იყო მიჩნეული, თუმცა იესო ქრისტემ ის გახადა ხსნის სახსარ-ღონედ. შესაბამისად, სიცოცხლის მომინტებელ, ცხოველყოფილად იქცა ის ჯვარი. იმიტომ, რომ, ვინც იმ





ზოგადსამეაროსეული მნიშვნელობა. ერთ ეკლესიაში კი არა, სხვადასხვა ეკლესიაში უნდა მოძრაობდეს იგი, დასვენდეს, როგორც ჩვენი უნიკალური ხატი სულელებისა. მიმანჩია, რომ საქართველოს გამთლიანებას ეს განსაკუთრებულად შეუწყობს ხელს. ეს იქნება დედის კალთის გადაფარება მთელს საქართველოზე“.

რაც შეეხება ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფენომენს, შეკვეთილში მის მიერ სულშობერილ უნიკალურ დენდროლოგიურ პარკს, მას მსოფლიოში ანალოგი არ ეძებნება. თავისი ნატურით ბატონი ბიძინა დიდი ფსიქოლოგია, იგი ზედმიწევნით ენათესავება სკანდინავიელ დრუიდებს, რომელთა სწავლებით თითოეული ხე რაღაც ადამატივულ თვისებას ანიჭებდა ადამიანს და რაღაცნაირად დედაბოძა ქართული მითოლოგიით; და რაღაცნაირად ხე სვეტიცხოველია თეოლოგიურად; და რაღაცნაირად ხე იგივე ქრისტეა, იგივე მარია დღისმშობლის წილხვედომილი ქვეყანა — საქართველო, მათზე მზრუნველობით ბატონი ბიძინა ივანიშვილი დაჭიდებულია უდიდეს მამულიშვილურ საქმეს — საქართველოს უკვდავების საქმეს.

მე ცოტათი ზემოთ შემთხვევით არ მოხსენებია უდაბნოების შემკავებელი კაკლოვანი ხე ფსტა. აი, რას ვკითხულობთ ვიკიპედიაში: „ლათ. Pistacia — მცენარის გვარში 20 სახეობაა. ბუნებში და ხეობაში ველურად იზრდება. საკმლის ხე, ანუ კევის ხეც ჰქვია. საქართველოში გვხვდება ფსტა (ლათ. ისტაცია ვერა).“

ჩვენ ამ თემას „საერთო გაზეთის“ წინა ნომერებშიც შევეხეთ წერილში „მსოფლიოს მერვე საოცრება“, აქ კი შეგვიძლია დავსძინოთ, რომ საქართველოშივეა შექმნილი უნიკალური პრეპარატი „ბიორაგი“ (ავტორი აკადემიკოსი რამაზ გახაკიძე), რომელსაც შესწევს უნარი ნებისმიერ მცენარეს მიანიჭოს გასაოცარი ცხოველმყოფელობა. მაგალითისთვის, ჩვენს მიერ ისედაც გამორჩეულ ფსტას გაუორმაგოს, გაუსამაგოს ფესვები და აქციოს მილიონობით ჰექტარი დედამიწისეული უდაბნოების გარდამქმნელ, გამამიწიანებელ, გადამრჩენ ხე-საოცრებად, ხეშარად.

აი, სად გამოჩნდება ბატონი ბიძინა ივანიშვილის ჯერეთ პატრონული ფენომენი ზოგადკაცობრიულ ძალისხმევად.

გური ოტობანია, მწერალი

### თუ საპარტიო უხსოვრი ვალუტის შემოღება გაგრძელდება, ლარი სტაბილური იქნება

7 83.

არა მარტო იმით იღებენ, რომ ვალუტის გადამცვლელი პუნქტები გააჩნიათ, არამედ მათი ძირითადი საქმიანობა ბიზნესისთვის თანხების კონვერტირებაა. გარდა ამისა, თქვენ იცით, რომ კომერციულ ბანკებში ვალუტის კურსი მნიშვნელოვნად განსხვავდება საეკონომიკური კურსისგან. სწორედ კურსის სხვაობით აკეთებენ ისინი ძირითადად, ფულს მწარმეებისგან. ეს მათი საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ყველაფერს ისე წარმართავენ, რომ მათი ბიზნესის ამ ნაწილში წაგებული არ დარჩენ. ეს ყოველივე ლარის კურსზე გავლენას ახდენს მაშინ, როდესაც კომერციულ ბანკებს უცხოური ვალუტა აკლიათ. ჯერჯერობით, კომერციულ ბანკებს ძალიან დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტა აქვთ. ამიტომაც არის, რომ კურსი, მეტ-ნაკლებად, სტაბილურია. თუ საქართველოში უცხოური ვალუტის შემოღება გაგრძელდება, ლარი სტაბილური იქნება. მაგრამ თუ უცებ რუსებმა საქართველოდან წასვლა გადაწყვიტეს და თავიანთი თანხები გაიტანეს, მაშინ ლარს უკვე ძალიან სერიოზული პრობლემა შეექმნება. საქართველოს მთავრობის პოზიციით თუ ვიმჯდებით, ასეთი საფრთხე არ გვემუქრება, მაგრამ თავად ადამიანების განწყობამ და სურვილმა, რომ რუსები აქედან წავიდნენ, შესაძლებელია, მათ სხვა ქვეყანაში გადაბარებისკენ უბიძგოს. თუ ეს მოხდება, ბუნებრივია, ისინი თავიანთ საბანკო ანგარიშებსაც დახურავენ და ფულსაც წაიღებენ. ეს კი ლარისთვის ძალიან სერიოზული დარტყმა იქნება.

— ანუ, ამ კონტექსტში რუსეთ-უკრაინის ომმა ჩვენს წისქვილზე დაახსნა წყალი?

— სხვისი ომი ყოველთვის ყველას წისქვილზე ასხამს წყალს, მათ შორის, არა მარტო საქართველოს, არამედ იმ ქვეყნების, რომლებიც ყოფიან იარაღს, მემორა ქვეყნებს სესხებს აძლევენ და ა.შ. დიახ, სხვის ომზე ყოველთვის ყველა ხელს ითბობდა და ითბობს.

— ბოლო თვეებია, ევრო საგრძობლად უფასურდება. რა საფრთხეების შემცველია ეს ტენდენცია?

— ევროს გაუფასურება ევროპის ეკონომიკაში ძალიან სერიოზული პრობლემებით არის გამოწვეული, რაც მათ რუსეთმა ენერგომატარებლებზე მიწოდების შეზღუდვით შეუქმნა. გარდა ამისა, ევროპაში უკვე შეინიშნება ტენდენცია — იქაური წარმოებები იმ ქვეყნებში გადააქვთ, რომლებიც ენერგო-რესურსებით უკეთ არიან მომარაგებულნი. გარდა ამისა, კიდევ ერთი ფაქტორი, ეს გახლავთ ძირითადი ენერგორესურსები, ცხოვრების გაძვირება. ფაქტობრივად, ევროპის ეკონომიკისთვის ძალიან სერიოზული ზიანის მიყენება ევროს კურსზე აისახა. ეკონომიკური და, ბუნებრივია, სხვა ფაქტორებიც, როგორცაა თავად ევროკავშირის ერთიანობის ნგრევა, ამ ყველაფერზე უარყოფითად აისახება. გამოიცხადდა არ არის, რომ ევროკავშირი რამდენიმე ქვეყანამ დატოვოს და, საბო-

ლოო ჯამში, იგი დაიშალოს. ამ შემთხვევაში, ევრო საერთოდ გაქრება და დოლარი თავის ძველ პოზიციებს დაიბრუნებს. ანუ, ამ პოლიტიკურ პერიპეტებში, გლობალურ ბრძოლაში, ბუნებრივია, ქართველი ხალხი ფიქრობს: რაში დააბანდოს ფული. ჯერჯერობით, როგორც ჩანს, დოლარი მაინც არის მყარი საერთაშორისო სარეზერვო ვალუტა, ხოლო რა მოუვა უახლოეს პერიოდში ევროს, ეს საკითხი ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

— ევროპას ენერგეტიკული კრიზისი აქვს, მისი ეკონომიკა მცირდება.

— დიახ, ასეა. ვარაუდობენ, რომ ევროპის ეკონომიკის ზრდა 5%-ით შემცირდება. ეს ძალიან სერიოზული ვარდნაა. ვრცელდება ხეობის შესახებაც, რომ რუსეთის მიერ წარმოებულ რიგ საქონელზე სანქციები მოიხსნას. მაგალითად, სასუქზე. ევროპა სასუქის გარეშე ხომ ვერაფერს აკეთებს. პლუს ამას, მიტინგებზე რომლებიც ევროპის ქვეყნებში ტარდებოდა, მოითხოვდნენ: „ჩრდილოეთი ნაკადი-2“-ის გახსნას, აშუშავენ და რუსული გაზის მიწოდებას. სიმართლე გითხრათ, ამჟამად ევროპის დეინდუსტრიალიზაცია მიმდინარეობს. ფაქტობრივად, რუსეთის იაფი ენერგომატარებლები სერიოზულ ევროპაში არა მარტო თავისი ეკონომიკა წასწია წინ, არამედ მისი საქონელი კონკურენტუნარიანი იყო. ახლა ძირითადი თხევადი აირი, ბუნებრივია, წარმოების ხარჯებს გაზრდის და ევროპის საქონელს ნაკლებ კონკურენტუნარიანს გახდის. ფაქტობრივად, ევროპის ეკონომიკა ძალიან ცუდ დღეშია.

— ქალბატონო ლია, ადგილობრივი წარმოების განვითარებაზეც მინდა გკითხოთ: წელს გელზები პროდუქციას ვერ ვიდიან, რადგან ფასი თვითღირებულებაზე დაბალია. გამოდის, რომ ადგილზე წარმოებას აზრი არ აქვს და ჩვენ მაინც იმპორტზე ვართ დამოკიდებული?

— საქმე ის გახლავთ, რომ ყველა ქვეყანას, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესების თანახმად, შეუძლია ადგილობრივი ბაზარი დაიცავს. მათ პროტექციონისტური ზომები უნდა გაატარონ. მაგალითად, საქონელი, რომელიც საქართველოში იწარმოება და, ამავდროულად, უცხოეთიდანაც შემოდის, შეიძლება დაცული იყოს იმით, რომ იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო გადასახადი გაიზარდოს. ანუ, იმპორტირებული საქონლის ფასი ადგილობრივი მწარმოებლისათვის ხელსაყრელ ფასს მიუახლოვდეს. საქართველოს შეუძლია ეს გააკეთოს, მაგრამ ასე არ იქცევა. ანუ, ჩემთვის გაუგებარია, რატომ ვერ ხერხდება ადგილობრივი ბაზრის დაცვა — ეს განპირობებულია შიშით, უცოდინრობით, ვიღაცის აზრის გათვალისწინებით თუ კიდევ სხვა მიზეზით, არ ვიცი. მაგრამ ფაქტია, რომ ადგილობრივი ბაზრის დაცვა შესაძლებელია. თუმცა, იგი, სამწუხაროდ, აბსოლუტურად, დაუცველია.

თამარ შველიძე 555 23 28 24

ჯვარს ცხოველი რწმენით ეხება, ყველა ცოცხლდება. სამოთხეში ორი ხე იყო — ხე ცნობად-ყოფადისა და ხე სიცოცხლისა — უკვდავებისა. პირველი ხის ნაყოფი რომ იგემა ადამამ, ცოდვით დაცემული განიდევნა სამოთხიდან, რათა იმ მქორე ხის ნაყოფიც არ ეჭამა და მარადიულ ცოდვაში არ დარჩენილიყო, ანუ არ ყოფილიყო უკვდავი ცოდვილი.

ხე ჩვენთვის ძალიან ბევრი რამით არის მნიშვნელოვანი. აი, მაგალითისთვის, არის ასეთი გამოთქმა, რომ ხე ფესვებით იზომება. ამ თვალსაზრისით ჩვენ, ქართველებს, ძალიან დიდი ფესვები გვაქვს. უდაბნოში ყოფილა რაღაც მცენარე, რომელიც მიწის ზედაპირიდან ერთი მეტრია და 26 მეტრის ფესვები ჰქონია. მგონი გორგორა ჰქვია, ქარქვეტა. შეხედეთ ფრაზას: „ფეხი მთებზე დასდგას ქვეყანად, ტინურად დამტკიცებული, ვითა ქარქვეტა ქართაგან არ იქმნას, მოტაცებული“. აბა, მესხურად ნახე — ჯახი ჰქვია — Перекаати-поле, იპპომორატპრუმ ცრისპუმ, Конский фенхель“.

მოგვიანებით ჩავუღრმავდები ქარქვეტას ბოტანიკურ მონაცემებს. იგი ბალახოვანი მცენარე აღმოჩნდება — საქსაული, უდაბნოთა ერთ სხეულად მკონავი, ქვიშროვანების შემკავებელი ენერგია. მერე იმასაც გაეარკვევ, რომ გაცილებით ცხოველმყოფელი ყოფილა ამ მხრივ კაკლოვანი მცენარე ფსტა, მას 35-40 მეტრის ფესვები ჰქონია და უდაბნოთ შემკავებელ ცოცხალ ძალადაა მიჩნეული.

„ — იგი, ამავდროულად, სვეტიცხოველიცაა, — განაგრძობს ჩემი მოძღვარი მამა მიქაელი, — მარადიულობის სიმბოლო, სიცოცხლის მომტანი ცისიერი წყალობა, სადაც არის დაუნჯებული კვართი უფლისა. სხვათა შორის, კვართთან მიმართებაში არის ასეთი მამათა სწავლება,



„...სამყაროში მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს“, — განაცხადა ზუსტად ერთი თვის წინათ რომის პაპმა ფრანცისკემ. პოლიტოლოგების ნაწილი მაშინ არ დაეთანხმა მას — მსოფლიოში ღია შეიარაღებული დაპირისპირება არ არის. ერთ თვეში ვითარება რადიკალურად შეიცვალა — იგივე პოლიტოლოგები, რომლებიც უარყოფდნენ, რომ მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს, ახლა რეალურად მოსალოდნელ ბირთვულ ომზე ალაპარაკდნენ. მსჯელობენ, თუ ვის უმტყუნებს ნერვები და პირველი ვინ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს. „ცეცხლზე ნავთის დასხმად“ იქცა გასულ კვირას ამერიკის შეერთებული შტატების მაღალჩინოსნების — სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენისა და თავდაცვისა და

ში, ჩეხეთში მოსახლეობა ბოლო ერთი თვეა, აქტიურად ითხოვდა გაზსადენ „ჩრდილოეთი ნაკადი-2“-ის ამოქმედებას, რომელიც სანქციების გამო აშენებისთანავე გაჩერებული იყო. ამის გარდა, „ჩრდილოეთი ნაკადი-1“ ტექნიკური მიზეზების გამო მეოთხედი დატვირთვით მუშაობდა, ვიდრე გაზსადენების ამოქმედების მოთხოვნით აქციები მიმდინარეობდა. გასული კვირის დასაწყისში გავერცელდა ინფორმაცია „ჩრდილოეთი ნაკადებიდან“ ბალ-

ვერსია დაუჯერებელია. ექსპერტების შეფასებით, რაში დასჭირდებოდა რუსეთს გაზსადენის აფეთქება, რომლის აშენება ერთი მილიარდი აშშ დოლარი დაუჯდა, უბრალოდ, ონკანს გადაკეტადა. ზოგიერთი გამოცემის ვერსია, საერთოდ, აბსურდული იყო, რაზეც მათივე კოლეგები ზემორობდნენ. რუსეთის პროკურატურამ დამოუკიდებლად აღძრა სისხლის სამართლის საქმე საერთაშორისო ტერორიზმის ბრალდებით. ხელისუფლების ოფიცია-



# სანქციების შედეგი - ევროპის დაიდუნსპრიალიზაცია



უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის, ჯეიკ სალივანის განცხადება. ჩინოვნიკები არ გამოიციხავდნენ, რომ აშშ-ს ბირთვული ომი დაეწყო რუსეთთან. მოგვიანებით რიტორიკა კი შეარბილეს, მაგრამ ბირთვული ომის საფრთხე სამყაროში არ განელეხებულა.

აქტიურად განიხილავენ გერმანიაში არსებული ბირთვული არსენალის აღმოსავლეთის ქვეყნებში გადატანას. საინტერესო განცხადება გააკეთა გასულ კვირას გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა, რომელმაც აშშ-ს მიმართა: „დაივიწყეთ ჩვენს ქვეყანაში არსებული ბირთვული იარაღის არსებობა“. ანუ, გერმანია არავის მისცემს უფლებას, მისი ქვეყნის ტერიტორიიდან ბირთვული იარაღით შეუტონ რუსეთს. თუმცა ცალკეული პოლიტიკოსების მტკიცებით, რუსეთი აპირებს, უკრაინაში გამოიყენოს სტრატეგიული ბირთვული ბომბები, რადგან აღმოსავლეთის ფრონტზე წარუმატებლობა განიცადა. მათ არ ეთანხმება ისრაელელი სამხედრო ექსპერტი იაკობ კედმი: „...სამხედრო ოპერაციების დროს, როდესაც ბრძოლები დროში იწელება, ხდება შენაერთების გადაჯგუფება. რუსეთის არმიის წარუმატებლობაზე საუბარი ნაადრევია. უკვე მიმდინარე მობილიზაციის შემდეგ მოსალოდნელია რუსეთის კონტრშეტევაზე გადასვლა. რაში სჭირდება რუსეთს უკრაინაში თუნდაც მცირე მუხტის ბირთვული იარაღის გამოყენება, როცა იმ ადგილზე თავად მოუწევთ ცხოვრება“.

საბედნიეროდ, ბირთვული ომი სამყაროში ჯერ არ დაწყებულა, სამაგიეროდ, ენერგეტიკულმა ომმა კი იფეთქა. ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანია-

ტიის ზღვაში დანიის სიახლოვეს გაზის გაჟონვაზე. თავდაპირველად ყველაფერი ტექნიკურ გაუმართაობას დააბრალებს. თუმცა შევედეთისა და დანიის დაზვერვის მონაცემებით, გაზსადენებზე დივერსია, ფაქტობრივად, ტერორისტული აქტი განხორციელდა.

ევროპის საერთო სტრატეგიულ ინფრასტრუქტურაზე მსგავსი შეტევა, დივერსია თუ საერთაშორისო ტერორისტული აქტი დღემდე არ ყოფილა. შევედეთისა და დანიის ხელისუფლებებმა გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყება მოითხოვეს... როგორც გაირკვა, საკმაოდ ძლიერი, 500 კგ ტროტილის ეკვივალენტის აფეთქება განხორციელდა. გაზის გაჟონვა კოსმოსიდანაც კი ჩანდა. გაზსადენის ოპერატორის ინფორმაციით, იმ რაოდენობის გაზი განადგურდა, რაც თუნდაც დანიას სამი თვე ეყოფოდა. ეკონომიკურის გარდა, დიდი ზარალი განიცადა ეკოსისტემამ, თუმცა ჯერ კიდევ შესასწავლია, რა სახის მილსადენი ხუთ ადგილას აფეთქდა და გაზი 200 მეტრი დიამეტრის ფართობზე ამოფრქვეოდა.

მომხდარის შემდეგ გამოძიება ცდილობს, დაადგინოს, ვის შეეძლო განეხორციელებინა დივერსია. პირველობა არავის დაუთმო პოლონეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა და ახლა ევროპარლამენტარმა რადეკ სიკორსკიმ. მან საჯაროდ გადაუხადა მადლობა აშშ-ს განხორციელებული ტერაქტისთვის! სიკორსკიმ, ფაქტობრივად, ბრალი დასდო აშშ-ს დივერსიის განხორციელებაში. ამაზე ნათქვამი: „რად გინდა მტერი, როცა ასეთი მეგობარი გყავს“. გამოძიება ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ მსოფლიო პრესა დივერსიაში უპირობოდ რუსეთს ადანაშაულებს. თუმცა

აღური პირები კონკრეტულად ჯერ არავის ადანაშაულებენ დივერსიაში, მხოლოდ დაგმეს მომხდარი ფაქტი. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ზოგადად ანგლოსაქსები დადანაშაულა განხორციელებულ დივერსიაში. სამაგიეროდ, რუსმა ჟურნალისტებმა არქივიდან ამოიღეს აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ჯერ კიდევ თებერვლის თვეში ნათქვამი: „...თუ რუსეთი კვლავ დაარღვევს უკრაინის საზღვრებს და ტანკებით შეიჭრება მათ ტერიტორიაზე, ჩვენ გაზსადენს გაგანადგურებთ!“ ჟურნალისტის კითხვაზე, როგორ შეძლებენ გაზსადენის განადგურებას, როდესაც მას გერმანია აკონტროლებს, უპასუხა: „მერწმუნეთ, ჩვენ შევძლებთ ამის გაკეთებას“.

სპეციალისტების განმარტებით, გაზსადენის მილები საკმაოდ ღრმად არის ზღვაში. ამასთან, ისინი განსაკუთრებული მასალით არის დამზადებული. ამიტომ შემთხვევითი, დილეტანტი დივერსანტი ვერ შეძლებდა მათ აფეთქებას. დანიისა და შევედეთის დაზვერვის ინფორმაციით, აფეთქებამდე რამდენიმე დღით ადრე აფეთქების ადგილზე იმყოფებოდა აშშ-ის სამხედრო ხომალდი. სამხედრო ექსპერტების თქმით, ბრიტანეთში მყოფე მსოფლიო ომის დაწყებამდე შექმნეს მეზღვაურ-დივერსანტთა რაზმი, რომლის მებრძოლებს ნებისმიერ სიღრმეში შეუძლიათ ჩასვლა და დივერსიული ოპერაციების განხორციელება. „ჩრდილოეთი ნაკადის“ აშენების წინააღმდეგე იყვნენ და დღემდე ამ აზრზე რჩებიან პოლონეთი და უკრაინა.

დივერსია, საერთაშორისო ექსპერტების წინასწარი გათვლებით, პირველ რიგში, ევროპის ეკონომიკას დააზარალებს. გერმანული პრესის მიხედვით, მათი მანქანათმშენებლობის არსებობა საფრთხეშია. აშშ-ში უკვე გადაიტანეს გერმანული ავტოწარმოების მეხუთედი. იგივე ექსპერტების თქმით, რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმა ევროპის დენდუსტრიალიზაცია გამოიწვია. დაველოდოთ გამოძიების შედეგებს, რომლის შემდეგაც გამოჩნდება დივერსიის შემკვეთიც და შემსრულებელიც. დანიას და შევედეთს დივერსიის გამოძიებაში დახმარება შესთავაზა ბრიტანეთმა, მაგრამ ამის წინააღმდეგია ბევრი ქვეყანა. პესიმისტებს იმედი

არ აქვთ, რომ სიმართლე დადგინდება. თუმცა, ვნახოთ.

ფრონტის ხაზზე, ხარკოვის ოლქში გარკვეული წარმატების მიუხედავად, გასულ კვირას მოვლენები უკრაინისთვის საგანგაშოდ განვითარდა. თებერვალში სპეციალური სამხედრო ოპერაციის დაწყებისას რუსეთმა დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების დამოუკიდებლობა აღიარა. უკრაინას რჩებოდა შანსი, ორივე რეგიონთან გაემართა მოლაპარაკება და ქვეყნის ფარგლებში შეენარჩუნებინა. თუმცა უკრაინის ხელისუფლებამ უარი განაცხადა და ბრძოლის გაგრძელება არჩია. გასულ კვირას ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ზუთი დღე მიმდინარეობდა რეფერენდუმი რუსეთთან შეერთების მოთხოვნით. დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებს ხერხონისა და ზაპოროჟიეს ოლქები დაემატა. რეფერენდუმი მოსალოდნელი შედეგით დასრულდა — ოთხივე რეგიონის მოსახლეობამ რუსეთთან შეერთებას დაუჭირა მხარი.

რეფერენდუმის დასრულებისა და შედეგების გამოცხადებისთანავე კრემლში დოკუმენტის ოფიციალური გაფორმების პროზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა რეგიონების რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მიღებას. კრემლთან, წითელ მოედანზე, მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა, სადაც ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიების მიერთება. კრემლშიც და წითელ მოედანზეც პუტინმა სიტყვით მიმართა მოსახლეობას. მან უკრაინის ხელისუფლებას და ხალხს მოუწოდა ყოველგვარი ბრძოლის შეწყვეტისა და მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნებისკენ. თუმცა იქვე აღნიშნა: „...რეფერენდუმი მონაწილე ხალხის გადაწყვეტილებად უცვლელია, განხილვას არ ექვემდებარება“. ტერიტორიების მიერთებას ამ დღეებში რუსეთის კანონმდებლები უპირობოდ დაამტკიცებენ. უკრაინამ, საერთო ჯამში, უკვე ხუთი ოლქი დაკარგა, მაგრამ მოლაპარაკების დაწყებაზე მისი ხელისუფლება არც კი ფიქრობს.

უკრაინის პრეზიდენტმა, ვლადიმერ ზელენსკიმ რეფერენდუმის დასრულების შემდეგ ოფიციალურად მიმართა ნატოს თხოვნით დაქარბული პროცედურით გაწევრიანებისთვის. მისი განცხა-

დება მოლოდნელი აღმოჩნდა, როგორც ნატოსთვის, ასევე აშშ-ისთვის. ალიანსის გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის განცხადებით, „ნატოს კარი ყველა ქვეყნისთვის ღიაა, მაგრამ წევრად მიღების გადაწყვეტილებას ქვეყნები ერთხმად იღებენ. ნატო კონფლიქტის ნაწილი არ არის და არც განდგება. თუმცა, უკრაინისთვის დახმარებას კვლავ გაავაგრძელებთ“. ჯეიკ სალივანის თქმით, უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას მხარს დაუჭერენ, მაგრამ „...უკრაინის ნატოში გაწევრიანება სხვა დროისთვის იუნდა გადავლოთ“. თითქმის იგივე გაიმეორა ენტონი ბლინკენმაც: „...ყველაფერს ვიღონებთ, რათა სხვა ქვეყნები არ ჩაერთონ ომში... უკრაინის ნატოში გაწევრიანება ფართომასშტაბიან ომში გადაიზრდება“, — განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანა-ლენა ბერბოკმა.

აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა გაზსადენის აფეთქება რუსეთისთვის ომის გამოცხადებად შეაფასა. მისი განცხადებით, უკრაინაში ომი სასწრაფოდ უნდა დასრულდეს მოლაპარაკებების მეშვეობით. შუამავლობა მხარეებს შორის თავად ითავა. როგორ შეძლებს ტრამპი უკრაინელების დაყოფას, დაიწყო მოლაპარაკება რუსეთთან, გამოჩნდება. თუმცა, კარგად ვხედავთ, რომ უკრაინა ალიანსში არ სჭირდება და არც ჯარით დაეხმარებიან. ყოველივე ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს ჩვენმა ხელისუფლებამაც, განსაკუთრებით კი ე. წ. ოპოზიციამ.

ბრიტანეთის ახალი პრემიერ-მინისტრი ელიზაბეტ ტრასის ისტორიაში უდავოდ დაიმკვიდრებს ადგილს. ჯერ ერთი, ის ბოლო პრემიერია, რომელიც დედოფალმა ელიზაბეთ II-მ დანიშნა. ამასთან, მმართველობის ერთი თვის შემდეგ პარლამენტი უნდობლობას უცხადებს მას, მოსახლეობა კი, საერთოდ, ვადადელი არჩევნების ჩატარებას ითხოვს... „ბებერი ქალბატონის“ კონტინენტზე, როგორც ვხედავთ, ქაოსია. საერთაშორისო ექსპერტი ეკონომისტების გამოთვლებით, უკრაინაში მიმდინარე ომის გამო ევროპა 2023 წლის ბოლოს სამი ტრილიონი დოლარით იზარალებს.

ბიკ აპრულები  
551 71 27 07

# ჯაშუაზის ხელფასები, ჰონორარი და სასჯელი

უკვე დიდი ხანია, ცნობილია, რომ ჯაშუაზის სამყაროში საზღვრები იმდენად გადარეცხილია, რომ რთულია თეთრისა და შავის გარჩევა. მოლაღატებები ყოველთვის როდი იწვევენ კოლეგებში ზიზღს, არც საიდუმლო ინფორმაციის მოწინააღმდეგისთვის გადაცემა უთხრის ყოველთვის ძირს ნაციონალურ უსაფრთხოებას.

მაგალითად, თავის მემუარებში ჰიტლერის დაზვერვის შეფი ვალტერ შელენბერგი წერს, რომ ომის მსვლელობის დროს აპონიის ელჩმა ონოდერამ, რომელიც შეთავსებით აპონიის საიდუმლო სამსახურის თანამშრომელიც იყო, სტოკჰოლმში მოაწყო დაზვერვის მონაცემების ბირჟა, სადაც

ბელგებდა, ამ „ხუთეულიდან“ ერთი — ენტონი ბლანტი არ დაუპატიმრებიათ, იგი ელიზაბეთ II-ის ნათესავი გახლდათ და კვლავინდებურად სამეფო სურათების გალერეის მთავარი ინსპექტორი იყო.

დაზვერვის ზოგიერთი ოფიცერი მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლის გადაწყვეტილებას იღებს ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის სრულებით გაუგებარი მიზეზების გამო. გადამწყვეტ როლს ფული ასრულებს არა იდეოლოგია. ფული — ეს ყველაზე გასაგები და ადეკვატური სტიმულია, იდეალისტს კი ყოველთვის შეუძლია გადაიფიქროს...

და რადგან არსებობს სამუშაო და ფული, რომლისთვისაც

ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს მაღალი თანამდებობის პირი ოლდრიჩ ეიმსი 1994 წელს გამოააშკარავეს, იგი საბჭოთა დაზვერვისთვის 9 წელი მუშაობდა. ამისთვის მან 2,5 მლნ აშშ დოლარი მიიღო.

გამომიების ფედერალური ბიუროს კიდევ ერთი თანამშრომელი ერლ ედვინ პიტსი 1996 წელს დააპატიმრეს. 1997 წელს მან თავი დამნაშავედ ცნო და განაცხადა, რომ 1987-1993 წლებში რუსეთის მხარეს ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ მასალებს გადასცემდა. რუსეთის ბიუჯეტიდან გადაუხადეს 224 ათასი რუბლი.

უფრო ნაკლებს უზღიდნენ ამერიკის არმიის ოფიცრებს. აშშ-ის არმიის პოლკოვნიკი ჯორჯ ტროფიმოვი ყველაზე მაღალი თანამდებობის ამერიკელი სამხედრო პირია, ვინც ჯაშუაზისთვის დააპატიმრეს. იგი 25 წლის განმავლობაში თანამშრომლობდა ჯერ სანჯოთა, შემდეგ კი რუსულ დაზვერვასთან. 1969 წელს იგი დანიშნეს სამხედრო დაზვერვის ნიურნბერგის განყოფილების უფროსად. სწორედ აქ გადაიბირა იგი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტმა ირინეიმ.

ტროფიმოვი რუსულ მხარეს აშშ-სთვის ცნობილი საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის შესახებ გადასცემდა ინფორმაციებს. ამისთვის 250 ათასი აშშ დოლარი გადაუხადეს. მას გადაეცა წითელი დროშის ორდენი და სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

საბჭოთა და რუსული დაზვერვა მარტო ოფიცრებთან კი არა, ჯარისკაცებთანაც მუშაობდა.

1996 წლის თებერვალში დააპატიმრეს რობერტ სტეფან ლიპკა, ნაციონალური უსაფ-



რთხოების სააგენტოს თანამშრომელი. იგი ვაშინგტონში იყო მივლინებული 1964-67 წლებში და ყოველ კვირას საბჭოთა საელჩოს აწვდიდა იმ ინფორმაციას, რომელიც თეთრი სახლისთვის მზადდებოდა.

1998 წლის ოქტომბერში გამომიების ფედერალურმა ბიურომ მოსკოვის სასარგებლოდ ჯაშუაზის გამო დააპატიმრა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი სერჟანტი დევიდ შელდონ ბუნი, რომელიც 1988-91 წლებში საბჭოთა დაზვერვას ზესაიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა ამერიკული ტაქტიკური რაკეტებისა და აშშ-ის რადიოელექტრონული დაზვერვის შესახებ. ოთხი წლის განმავლობაში მას 60 ათასი დოლარი გადაუხადეს.

### რუსები — უმადლესი ლიბა

ცივი ომის ისტორია აჩვენებს, რომ ამერიკელები მხოლოდ მაღალი დონის სამხედრო ოფიცრების გადაბირებას ახერხებდნენ, რადგან ჯარისკაცებთან და სერჟანტებთან საერთო ენას ვერ პოულობდნენ.

2006 წლის 9 აგვისტოს მოსკოვის სამხედრო სამხარეო სამართლომ რუსეთის სპეცსამსახურების პოლკოვნიკ სერგეი სკრიპალს 13 წლით პატიმრობა მიუსაჯა. იგი დიდი ბრიტანეთის დაზვერვისთვის მუშაობდა.



ჯონ ოლერიჯი

ცნობილია, რომ იგი MI6-თან 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან თანამშრომლობდა, როცა ხანგრძლივ მივლინებაში იმყოფებოდა საზღვარგარეთ. 8 წლის განმავლობაში მას 100 ათასი აშშ დოლარი გადაუხადეს.

რუსეთის უშიშროების ფედერალური ბიუროს სასაზღვრო სამსახურის პოლკოვნიკს იგორ ვილკოვს 2004 წელს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ესტონეთის სასარგებლოდ შპიონაჟის გამო. 2001-2 წლებში მას ამისთვის ესტონეთის ბიუჯეტიდან გადაუხადეს 1000 აშშ დოლარი.

ყველაზე მაღალანაზღაურებადი აგენტი ალექსანდრ ზაპოროსკი იყო, რუსეთის ფედერაციის საგარეო სამსახურის ყოფილი ოფიცერი.

ზაპოროსკი საგარეო კონტრდაზვერვის სამმართველოში მუშაობდა. 1994 წელს დააწინაურეს და საგარეო კონტრდაზვერვის ამერიკის განყოფილების უფროსის მოადგილედ დანიშნეს. მისი მოღვაწეობის სფეროში შედიოდა ლათინური ამერიკის ქვეყნები. 1997 წელს იგი თადარიგში გავიდა და ამერიკაში გაემგზავრა. 2001 წელს დააპატიმრეს მოსკოვში და 18 წელი მიუსაჯეს. ამერიკის სასარგებლოდ თითქმის 7 წელი მუშაობდა. გადაუხადეს 500 ათას აშშ დოლარზე მეტი.

ნებისმიერი ქვეყნის სასარგებლოდ ჯაშუაზური მუშაობა დიდი საფრთხეების შემცველია, რადგან ამისთვის სასჯელი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა — ამერიკაში უვადო პატიმრობა, რუსეთში — 20 წელი... არავინ იცის, როგორ აისახება მზვერავის „ჩავარდნა“ მისი ოჯახის წევრებზე. მათ მშვენივრად იციან, რაზე მიდიან, მაგრამ ჯაშუაზები ყოველთვის იყენებენ და, ალბათ, ყოველთვის იქნებიან...

მოამზადა  
ბელა გველმინანა  
568 90 81 22



რობერტ ლიპკა

მთავარი მოთამაშეები იყვნენ გერმანია, სსრკ, იტალია და დიდი ბრიტანეთი...

თავიდან ონოდერა ცვლიდა საკუთარი აგენტების მიერ მოპოვებულ ინფორმაციას, რომლებიც ვიშიში, რომში, ბელგრადსა და ბერლინში იყო მოპოვებული, თანაბარი ღირებულების სხვადასხვა ქვეყნების დაზვერვის მასალებზე. შელენბერგის მტკიცებით, რუსები ყველაზე სწრაფად და აქტიურად მოქმედებდნენ. დიდი ბრიტანეთიდან მიღებული მასალებიდან ნათელი იყო, რომ რუსებს ამ ქვეყნის უმაღლეს ემელონებშიც ჰყავდათ აგენტები.

სრულიად შესაძლებელია, რომ შელენბერგს მხედველობაში ჰქონდა კემბრიჯის ხუთეულის ინფორმაცია. სხვათა შორის, მისი გამოაშკარაებისა და მოსკოვში ბერჯისის, მაკლინისა და ფილბის გაქცევის შემდეგ, ბრიტანელი მწერალი გრემ გრინი, რომელიც თავადაც MI6-ის თანამშრომელი იყო, კომფილბისთან მეგობრობას აგრ-

გობდიან, ესე იგი ეს ბიზნესი კიდევ ერთი სახეობაა...

### ბალახდელი — რუსეთის დაზვერვა

ამერიკის სპეცსამსახურების უმაღლესი თანამდებობის პირებისთვის რუსეთის სასარგებლოდ გაწეული სამუშაოს ანაზღაურება ქვეყნის ბიუჯეტს ძვირი სულაც არ დაუჯდა (საუბარია 90-იან წლებზე).

ყველაზე ნაკლები პაროლდ ნიკოლსონს გადაუხადეს, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს საწვრთნელი ცენტრის უფროსი გახლდათ. იგი რუსეთის დაზვერვისთვის 1994-1996 წლებში მუშაობდა. ნიკოლსონმა ამისთვის 120 ათასი აშშ დოლარი და 23-წლიანი სასჯელი „მიიღო“.

გამომიების ფედერალური ბიუროს ოფიცერი რობერტ ჰანსენი კავებესთვის 1985-2001 წლებში მუშაობდა. მას 600 ათასი დოლარი გადაუხადეს, ერთ-ერთ უცხოურ ბანკში კი 800 ათასი აშშ დოლარი ჩაურიცხეს.

მართლმადიდებლობასთან ბრძოლა ბოლშევიკებმა ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან დაიწყეს. დაპირისპირება არა მარტო იდეოლოგიურ, არამედ აშკარა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. კომუნისტების მთავარი მიზანი საზოგადოებაში ეკლესიის ავტორიტეტის მოსპობა და მის ნაცვლად ათეისტური იდეოლოგიის დამკვიდრება იყო. 1918 წლის 1-ელი იანვრიდან სკოლებში გაუქმდა ყველა რწმენის საღვთო რჯულის მასწავლებლის თანამდებობა, ანუ მმართველობის პირველივე თვეებში ბოლშევიკებმა ეკლესიას ფინანსური ბაზა გამოაცალეს, ხოლო სკოლებში საღვთო სჯულის გაუქმებით, მომავალი თაობის ათეისტურ პრინციპებზე აღზრდას ჩაუყარეს საფუძველი. გასაბჭოებისთანავე ორი თვის შემდეგ, 1921 წლის 15 აპრილს, საქართველოს რევკომის მიერ გამოცემული სპეციალური დეკრეტით საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ფაქტობრივად კანონგარეშედ გამოცხადდა. დეკრეტის მიხედვით: „არც ერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არა აქვს უფლება, იქონიოს საკუთრება. მათ

ზიკურად უსწორდებოდნენ. გასაბჭოებისთანავე საქართველოში 1600-მდე სასულიერო პირი მოღვაწეობდა. 1923 წლის აპრილში მათი რიცხვი 500-მდე შემცირდა. ზესტაფონში წმინდა დავითისა და კონსტანტინეს სახელობის ეკლესიის დეკანოზს გიორგი ფერაძეს კომკავშირელი აქტივისტები სახლში შეუვარდნენ და მრევლის წინაშე ღვთის მგობელი სიტყვით გამოსვლა მოსთხოვეს. დეკანოზი დათანხმდა. როდესაც აქტივისტებმა მრევლი მოიყვანეს, გიორგი ფერაძემ ქრისტეს მოძღვრების ქადაგება დაიწყო. ამის საპასუხოდ კომუნისტებმა დეკანოზი ხიშტების კვრით მდინარე ყვირილაში ჩააგდეს და თოფებით ჩაცხრილეს. ჭყონდიდის ეპარქიის მღვდელმსახურს, ერმალო ჩიმაკაძეს კომუნისტებმა ძალით გაპარსვა დაუპირეს. როდესაც



# ბოლშევიზმი და საქართველო



არა აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება, საქართველოში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებათ“. მოგვიანებით, ოცდაათიან წლებში, პირწმინდად გაძარცვული ეკლესიებიდან ჯართისთვის ზარების ჩამოსხნა დაიწყო. ეკლესიის წინააღმდეგ შეტევაში საქართველოში საშინელი ხასიათი მიიღო. არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკაში ამ ბრძოლას არ ჰქონია ისეთი დამანერგველი შედეგი, როგორც ამას საქართველოში ჰქონდა. ქართველი კომუნისტები ანტირელიგიურ ფრონტზე რადიკალიზმს იჩენდნენ და სამღვდლოებს დაუნდობლად უსწორდებოდნენ. მორწმუნეების თვალწინ იარაღს ესროდნენ ეკლესიის გუმბათზე აღმართულ ჯვრებს, მირონით იწმენდნენ ჩექმებს, ამტვრევდნენ ხატებს. ლეჩხუმში ადღვომის დამეს მორწმუნეთათვის ხელის შეშლის მიზნით კომუნისტმა აქტივისტებმა ლაილაშის ეკლესია დაწვეს. ჭიათურის რაიონის სოფელ ჩხირიულში, პარტკომის ინსტრუქტორმა შუკაკიძემ რელიგიის უძღურების დასამტკიცებლად, ხალხის თვალწინ ეკლესიის ეზოში მაუზნით დახვრიტა ხატები. მასობრივი ხასიათი მიიღო სასულიერო პირების დევნა. მღვდლებს აშინებდნენ, სცემდნენ, ძალით კრეჭდნენ და ფი-

საც მაკრატელი მიადეს, სასულიერო პირს გული გაუსკდა და გარდაიცვალა. ხოლო კომუნისტებმა მამათა მონასტერში შეკრებილ ხალხს მოსთხოვეს, დაეხოქათ და პარტიის ერთგულებაზე დაეფიცათ. მონასტრის წინამძღოლმა არქიმანდრიტმა შიომრევლს მიმართა, არ შეეხრებინათ ათეისტების მოთხოვნა. ამის გამო კომკავშირლებმა იგი ხალხის თვალწინ ძალდატანებით გაკრიჭეს. მასობრივი ხასიათი მიიღო მართლმადიდებლური ტაძრების დაკეტვა. ეკლესიების დახურვაში, მზრებს შორის სოციალისტური შეჯიბრებები ეწყობოდა. კომუნისტები მთელი ქვეყნის მასშტაბით რელიგიის საჯარო გასამართლების პროცესებს აწყობდნენ. პროცესზე განსასჯელის საკამი ცარიელი იყო. ასამართლებდნენ არა რომელიმე კონკრეტულ სასულიერო პირს, ან ღვთისმსახურთა ჯგუფს, არამედ რელიგიას და, კერძოდ, მართლმადიდებლობას მთლიანად. ღია სასამართლო პროცესები საერთო პროპაგანდის ნაწილს წარმოადგენდა, სადაც მოსახლეობის ფართო მასებისთვის რელიგიის „თვალთმაქცი“ სახე უნდა ეჩვენებინათ. განსაკუთრებულ აგრესიას კომუნისტები წმინდანთა ნეშტების მიმართ იჩენდნენ. ბოლშევიკები ლენინის მითითებას ასრულებდნენ, რომელიც საძვალეების გახსნას და მათ საჯარო

გამოფენას მოითხოვდა: „ვაჩვენოთ, თუ რით იყო გატენილი მღვდლების მიერ ეს ფიტულები, ვაჩვენოთ, თუ რა განისვენებდა, რანაირი წმინდანები იყო ამ მდიდარ საწინაწინებში, რასაც ასე მრავალი საუკუნე მოწინებთ ვთავაზობოდა ხალხი და რისთვისაც ატყავდნენ უბრალო ხალხს ეკლესიის მსახურნი. მარტო ეს იქნება საკმარისი იმისთვის, რომ რელიგიას ჩამოვაშოროთ მრავალი ათასი ადამიანი“. 1923 წელს ქუთაისში რელიგიის მორიგი გასამართლება შედგა, სადაც დაადგინეს, რომ გაეხსნათ მოწამეთას მონასტერში დაცული წმინდანების: კონსტანტინესა და დავითის წმინდა ნაწილები. წმინდა კონსტანტინესა და დავითის ნეშტები კომკავშირლებმა მონასტრიდან გამოიტანეს და ეზოში შეკრებილი ხალხის თვალწინ მათ დემონსტრირებას შეუდგნენ. ამ მოვლენას გაზეთმა „კომუნისტმა“ 1923 წლის 23 და 27 თებერვალს ორი წერილი მიუძღვნა, სადაც დეტალურად გააცნო მკითხველს მოწამეთას საძვალეს გახსნა: „...ყველას შეუძლია დაინახოს ის „უხრწელი“ გვაგები, რომლითაც გარყვნილი სამღვდელოება საუკუნოების განმავლობაში ჩვენს მამა-პაპათ შეუბრალებლად ატყუებდა და სძარცვავდა ხალხს. რას ვხედავთ „უხრწელი“ ნეშტის მაგივრად. ცარიელი ძვლები, რომელსაც ხორცის ნატამა-

ლიც არა აქვს“. წმინდანთა ნეშტი კომუნისტებმა მოწამეთას მონასტრიდან ქუთაისში ჩამოიტანეს და ქალაქის ქუჩებში ორი კვირის განმავლობაში ურმით დაატარებდნენ. იგივე მოხდა ნიკორწმინდაში, სადაც ნიკორწმინდის თემის კრებაზე ტაძრიდან წმინდა ნიკოლოზის მკლავი გამოიტანეს და საჯაროდ დაწვეს... წმინდა ნაწილები გაიხსნა სიღნაღის მახრის სოფელ ბოდბისხევში, ხარაგაულის მახრის სოფელ მელისკარში და კახორაში, ზუგდიდის მახრის სოფელ ყულისკარში. 1923 წელს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაკეტილი ეკლესიების საყოფაცხოვებო ობიექტებად გადაკეთებისათვის 5 მილიარდი მანეთი გამოყო. ყველაზე ხშირად ტაძარს კლუბად, საწყობად და თეატრად იყენებდნენ. თბილისში ნაძალადევის რაიონის ეკლესია აბანოდ მოაწვეს, დაბა წყნეთში პურის საცხობი გახსნეს. აფხაზეთში ახალი ათონის მონასტერი არასრულწლოვანთა კოლონიად გადააკეთეს. დიდძალ ეკლესიაში კი სასაკლავო გახსნეს, სადაც პირუტყვის პირდაპირ საკურთხეველთან ატყავდნენ. კომუნისტებისთვის ნათელი გახდა, რომ მხოლოდ უხეში ძალის გამოყენებით ეკლესიასთან ბრძოლა შედეგს არ გამოიღებდა. საბჭოთა კავშირში მოქალაქეთა უდიდესი ნაწილი მორწმუნე იყო და ხელისუფლების ანტირელიგიურ პოლიტიკას მხარს არ უჭერდა. საჭირო იყო ახალი ტაქტიკის შემუშავება, რომელიც ძალისმიერ მეთოდებთან ერთად, პროპაგანდის გააქტიურებას გულისხმობდა. ავტორიტეტის მეშვეობით კომუნისტები ხალხის ცნობიერებაში ეკლესიური ფასეულობების სრულ ლიკვიდაციას და ქვეყანაში ათეისტური აზროვნების დანერგვას ცდილობდნენ. ამ მიზნის მისაღწევად, 1925 წელს მოსკოვში მებრძოლ უღმერთოთა კავშირი შეიქმნა, რომელსაც ძველი ბოლშევიკი მინეი ისრაელის-ძე გუბელმანი (იაროსლავსკი) ხელმძღვანელობდა. უღმერთოების წესდებაში ორგანიზაციის მიზნები ნათლად და

გასაგებად იყო ჩამოყალიბებული: უღმერთოები თავის მიზნად ისახავენ რელიგიის სრულ მოსპობას, მშრომელების განთავისუფლებას რელიგიური ბორკილებისაგან. იბრძვიან რა რელიგიური ცრუმორწმუნეობის მოსპობისათვის, სოფლისა და ქალაქის სოციალისტური გარდაქმნისათვის, უღმერთოები გზას კაფავენ ახალი უღმერთო საზოგადოების აშენებისათვის“. საქართველო რუსეთს სულ ორი წლით ჩამორჩა. 1927 წლის 5 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცეკას სპეციალური დადგენილებით, თბილისში მებრძოლი უღმერთოების ორგანიზაცია დაარსდა. 1929 წლისთვის ქვეყანაში უკვე 19 ათასი უღმერთო იყო. მარტო თბილისში უღმერთოთა 106 ჯგუფი მოქმედებდა. 1929 წლის 1 ივნისს საქართველოში უღმერთოთა I ყრილობა გაიხსნა, სადაც ქართველი უღმერთოები ოფიციალურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდნენ. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის წევრობა 15 წლის ასაკიდან ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო. უღმერთოთა წევრობა სპეციალური მოწმობით დასტურდებოდა, რომლის მფლობელიც, საწევროს სახით, ყოველკვარტალურად 15 კაპიკს იხდიდა. 1930 წელს მუკ-მა საქართველოში თავისი პერიოდული ორგანოს გამოცემა დაიწყო. შურნალს „მებრძოლი უღმერთო“ ერქვა და ის ყოველ კვირას გამოდიოდა. შურნალის რედაქცია ჯერ პეროვსკაიას ქუჩაზე მდებარეობდა, შემდეგ კი განათლების სახალხო კომისარიატის შენობაში რუსთაველის გამზირის N 31 გადავიდა. შურნალის პასუხისმგებელი რედაქტორი სილიბისტრო თოდრია იყო. მთელი თავისი ცხოვრება სილიბისტრო ბოლშევიკურ მოძრაობაში იყო. აქტიურად იბრძოდა საქართველოდ დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ხელმძღვანელობდა ბოლშევიკების ბეჭდვითი ორგანოს გამოცემას და არალეგალური სტამბის მუშაობას. ამის გამო იგი რამდენჯერმე დააპატიმრეს. რუსეთ-საქართველოს შორის 1920 წ. 6 მაისს ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულების შემდეგ იგი ციხიდან გაათავისუფლეს და აზერბაიჯანში გაასახლეს. სხვა ქართველ კომუნისტებთან ერთად სილიბისტრო საქართველოში XI არმიასთან ერთად დაბრუნდა.


მარიამ ჯანაჯღაძე  
511 17 73 72

# გადავიწყებთ საბჭოთა წლებს ახალი მთავრობა

რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი რომ აღინიშნა, აზრად მომივიდა, შოთასთვის მიმეძღვნა 800-სტრიქონიანი პოემა. განხორციელება რომ ვერ შეეძლო, 14 წლისამ 800 ძირი ვაზის რქით გავაშენე ვენახი.

მოგვიანებით კი საგარეოში, კახეთის გზატკეცილზე დიმიტრი ბარამაშვილისგან ვიყიდე ზუსტად 800 კვ. მ მიწა, და იქ ახლებურად გავაშენე რუსთაველის სახელობის ვენახი, მისი იუბილე ჩემებურად ასე აღვნიშნე მეურნეობის გამოყოფილ „კოსტაფის“ ფართობზეც, სადაც მივიღე მრავალი თვალსაჩინო სტუმარი, მათ შორის პრემიერ-მინისტრები და ქვეყნის პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

ვაზს მივუძღვენი არაერთი ლექსი იმგვარად, რომ ვაზიც ავალაპარაკე.



ვაზი გამძლე ვარ გვალვისა, ეს ჩემი ფესვის არსია, როგორც ვენახი კაცისთვის ცხოვრების შინაარსია, ამყად დაჰქენ, ნაღვლი, აქ არაფერი ფარსია, ვაზის და ღვინის ქვეყანა კვლავ აყვავების ღირსია.

შემწამლე, პაპავ, დროულად, ჭრაქმა არ მახლოს ხელიო, გულით თუ გვინდა დაგვიდგეს ბარაქიანი რთველიო, ახალი წელი გავხადოთ განვითარების წელიო, რადგან მეკვლევა სიკეთე, აღორძინებას ველიო.

რქაწითელი ჯიშით ლაღობს, შემდეგი გვერდში სარიო, შემოგვხევეი შეილივით, ვეღარ გადამტეხს ქარიო, გამიფხვიერეთ ფესვები, ავალორძინო ზვარიო, რომ სიამაყით ვატარო სამშობლოს დროშის ტარიო.

850 წლის რუსთაველს კი ვუფიქრებ ვერგასი წლის მანძილზე დაწერილი 850-სტრიქონიანი პოემა. იხილეთ „ვაზისა და 850 წლის რუსთაველის საუბარი“ და „წუთისოფლის წიგნი“ („ბიბლუსის“ მაღაზიებში), რისთვისაც მომინიჭა ნიკო ნიკოლაძის პრემია.

სახელოვანი მამულიშვილის პრემიამ ისე გამათამაშა, რომ პოემიდან ამოვიღე ნაწილი სტრიქონებისა, რომლებსაც გთავაზობთ, და თუ დამეთანხმებით, დაე, სამშობლოს კუთხეები დამშვენდეს წინამდებარე შაირებითაც, იმ მიზნით, რომ თუნდაც მცირეოდენი წვლილი შეიტანოს მომავალი თაობის სულიერად ამაღლებასა და ეროვნული იდეების განხორციელებაში:

ერთგულება და ერთობა, დღეს მართლა საკვირველია, რადგან ამქვეყნად მრავალი სიკეთის დამკარგველია, საუბედუროდ ასეა, გუშინდლის საფუძველია, ეს დალოცვილი ქვეყანა ზომ ჩვენი მოსართველია.

გულს მიხარებს არემარე, მაღლა — ღმერთი საკვირველი, დიდგორი და ოქროს ხანა, წინაპარი — უძლეველი, კარგი ნაღვი მეგობარი, ეკლესია ძველისძველი, ემხსა მშატებს შაირები უმრეტელი, უმურველი.

მწადის, მუდამ ტურფა იყოს არემარე, გზა და კვალი, ღირსეულად მოიხადოს ყველა კაცმა თავის ვალი, საკადრისად ფასდებოდეს მარჯვენა და მოსავალი, რომ ფრიალზე განვითარდეს საქართველოს მომავალი.

მოსურნე ვარ კვლავაც კარგის: ერსა ჭირი მოკლებოდეს, მტრობა, შური და ქიშპობა ზღვის ქაფივით გაქრებოდეს ერთგულება, სიყვარული მატულობდეს, მყარდებოდეს, გულსახარად საქართველო ქართველებით მრავლდებოდეს.

სიახლეები ღვინია, რაც არასოდეს მწყინდება, სახალხოდ ვამხელ სალხინოს, სტრიქონებიაც მშვენდება, თუ ვერ დავძარი საჩინო, დღე ჩემთვის სევდით თენდება, სიმართლე ხშირად ამქვეყნად უსამართლობით დგინდება.

სიღუხჭირე მოგეშორდება, არ დავრჩები უპოვარი, ნახევრადაც რომ ასრულდეს რუსთაველის სათხოვარი — ისე ვთესოთ სიყვარული, ვით თესავდა მაცხოვარი, ჩვენს მიწაზე აღარ ივლის აღარც ერთი მათხოვარი.

გზას დავადექ დავით-გარეჯს, რომ ვეწვიე საგარეჯოს, სამი ნატვრა გულს დამეხვა — კაცი ქველად გაისარჯოს, რომ არასდროს არვინ არსად ბოროტება არ დახარჯოს, საქართველოს ყველა კუთხეს ზეცის ძალით გაუმარჯოს!

რუსთაველისა აზრები სამარადისოდ ვრცელდება, მისი მკითხველი ნათლდება, აფორიზმებით მშვენდება, ქართველი კაცის გონება რადგან თანდათან ბრწყინდება, მიხნად ვაქციოთ სამშობლოს აყვავება და დიდება.

შოთავ, უკვდავო, შენ გიცქერ, გულს ფიქრი არა ჩერდება, ჩემგან მომდევნო ლექსები საჩუქარს შეეფარდება, მჯგერა, პოემა დარჩება, არასდროს დამიბერდება, გაუათასდეს ბარაქა, ვინაც სიკეთით ირჯება.

ღმერთო, ღმერთო, გვედრები, ბოროტება ყველას სძულდეს, ავსა სისხლი განეწმინდოს და სიავე დაუსრულდეს, ქველსა სევდა შენ მოაკელ, მას სიცოცხლე გაუგრძელდეს, კაცსა კარგი რაცა სურდეს, საწადელი აუსრულდეს.

დღეს რომ კომლები იცლება, ესაა უბედურობა, ამის მიზეზი ერთია — მძლავრობდა უკეთურობა, ჭირსა ვერ ვმაღავ, ვაუღვრებ, არაა აქა ხუმრობა, გადაგვიწყვიტავს სატკივარს წაღმა მავალი მთავრობა.

ანდერძადა ვწერ წადილსა, მოწმედა ზეცის თვალთა, კაცის ნაბიჯი საჩინო მომავლისათვის კვალია, შორეულ შთამომავლისთვის ნატიფად გასაკვალია, ნატერფალი კი კაცური ყველა თაობის ვალია.

ვაზის პატარა ქვეყნისთვის დღეს საარაკო ძველია, თუმცა არაკი ქართველებს შეეფერება გრძელია, წინაპრებისა ამაგი საოცარ-საკვირველია, ჟამია ვნატრობ მეკვლესა, პა, მეკვლეც რუსთაველია.

ღმერთმა ქნას, წუთისოფელი ვადიდოთ გამარჯვებული, ძე და ასული ერთავე ათასად გამრავლებული, ბალ-ვენახები, ველები ბაღნარად დამშვენებული, თვალწინ სოხუმი, ცხინვალი მზის სხივით გაბრწყინებული.

ლექსად თქმულ ნატერის ახდენას იმედით დაველოდები, არ დავიშუროთ ძალ-ღონე, გადავიყაროთ დარდები, ჩამოვიშოროთ წუხილის გულზე დაყრილი ლოდები, შთამომავლობას ვუბოძოთ გზად გადაშლილი ვარდები.

ცრემლით მიაბმო მოხუცმა: ფეიქარ ვარო მქსოველი, მარჯვენას მიქებს მრავალი, თითქმის ამ ქვეყნად ყოველი, მტანჯეს, მაწამეს, მაგრამა ვერა გამხადეს ცხოველი, დაკინდეს წამებისათვის კაცი სისხლისა მწოველი.

ეროვნულ სულისკვეთებით აღვზარდოთ შთამომავალი, გადავუხადოთ სიცოცხლეს ვალი, თავგადასავალი, სანუგეშებლად სოფლების გზები ვამშვენოთ სავალი, რომ სამუდამოდ ჩვენც ვპოვოთ ჭირიდან გამოსავალი!

მას ბერძნულად ვადღევრებებ, ვინც ქვეყნის ღერძს ისე აწრობს,



სალტეს უხსნის ტანჯულ გულსა და პირისპირ წყლულსა აქრობს, დარდს დაფარულს ღიადა მტრობს, გვამხნევეს და სულით გვაწრთობს, ერისკაცად ვერ ივარგებს, ვინც ჭირის ხსნას ვერა გვარობს.

ვაზის რქები ჩახლართული ჩხებად ავჭერ კაზმულ ხანსა, ქორწილის ჟამს შვილს ვუბოძე, მემკვიდრეს იმედინასა, ვემხიარულე მოყვრებსა, ყოველსა ენაწვლიანსა, ღმერთმა შეგვასწროს სამშობლოს აყვავებულს და სვიანსა.

ტკბილ მამულის სულს უსმინე, სუნთქვა მისი თავად ნახე, წინაპრების ნაღვარსა წაღმა სწორად დაინახე, ნატერფალი ოქროდ ფასობს, შვილიშვილებს შეუნახე, საქართველოს განდიდება ახდენილი დაგვანახე!

ის სადღევრებელი რად ვარგა, რომ დარჩეს აუწვეველი, ანდა ისეთი ის რთველი, ყურძენი დაუწურველი, თუ კვლავაც ისე ვიქნებით დახმარების მხვეწველი, საწუთისოფლო ვალია ვიფოთ ჭაბუნისა მწვეველი.

კაცი ახალსა იძახდეს, დიდი პრობლემა წყდებოდეს, ეს არ ესმოდეს ყრუდ ქცეულს, პირიქით აქეთ წყრებოდეს, ვაზის სამშობლოს რა ვუთხარ, სიახლით არა ტკებოდეს და ყოველივე საამო ვაზის ფესვებში ტკნებოდეს.

ვით ვენახს შვენი ვაზები, ალაჩოვი და თარგები, შაირებს კიდევ რითმები, ენაწვლიანი, კარგები, სოფელსაც ასე უხდება წარმატებული დარგები, სიკეთის კეთებისათვის არა კაცს დაეკარგები.

გულგასახარად ვიხაროთ შაირებით და შენებით, აწ აღგვეწეროს ნატიფად ნაღვარს ტკბილი ენებით, პაპის პაპათა ზრახვებით, სიახლეების ჩვენებით, შარა ვუმშვენოთ სამშობლოს დაუშრეტელი მშვენებით.

გამოგონებით ვამირიც გავხადოთ მოსავლიანი, ახალგაზრდობა უებრო და არამც თვალცრემლიანი, ყოველი მხარე ქვეყნისა უხვი, სვიანი, მთლიანი, დაკინებულ სამშობლო — გმირთ სადარ სახელისანი!

დაკინებულთა ქვეყანა, რადგან დიდი ნაწილი ოკუპირებულია, ცრემლიანია საქართველო, რადგან 1,5 მილიონი ადამიანი ცხრა მთას იქითაა გადახვეწილი, გულდაწყვეტილია საქართველო იმიტომაც, რომ დედაქალაქის მერიამ ვერ გაიმეტა მიწა, აღმამენებლისთვის რომ აღიმართოს 36-წლიანი გმირული მოღვაწეობის აღსანიშნავად 36 კიბის საფეხურიანი მემორიალი — იმ დიდი კაცის დაბადების 950



და გარდაცვალების 900 წლისათვის, ვინც საქართველო გადაგვარებისგან გადაარჩინა, სევდიანია საქართველო, რადგან აგრარულ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დიდი ნაწილი უცხოეთიდანაა შემოტანილი...

აღნიშნული უტყუარი ფაქტები უცხოეთიდანაა იმისათვის, რომ ერსაც და ბერსაც დიახაც ყოველდღე შევასწნოთ პრობლემების არსი თუნდაც შაირებით (ვისიც არ უნდა იყოს შაირი), იმისთვის, რომ პრინციპული ცვლილებებით ჩამოვიშოროთ მომძლავრებული ტკივილები და გზა გავიკაფოთ ეროვნული მიზნების განხორციელებაში.

გმირ წინაპართა ბილიკზე ერი რომ მარად ნათობდეს და მომავალი სულ მუდამ მათ ნამოღვაწარს ამკობდეს, მთავრობა გვინდა ელვარე, ერსა სატკივარს უქრობდეს და ქვეყნის მთავარსარდალი სამაგალითოდ სარდლობდეს.

შეგხარო მარჯვენას, მომავალს, ღვინოსა სურნელოვანსა, შემწედ აგებულ ტაძრებსა, უფროვე ათასწლოვანსა, სამშობლოს მამშვენებელსა, ჭირის მძლევეს, დიდსულოვანსა, აწ გაუმარჯოს კაცისას სიცოცხლეს სახელოვანსა!

თამაზ ქვლივიძე  
599 10 43 18  
სტილი დაცულია. R

# „ამ გზით თუ წახვალ, მზას შეაყრები“



ის იყო შემოქმედებითი ბუნების კაცი. პოეტური შეძლების, იშვიათი ტალანტის, ფართო დაპაზონის მქონე პიროვნება.

თხემით ტერფამდე პოეტი იყო. ეტყობოდა დიდი ნიჭიერება. ლექსი ჰქონდა სრულყოფილი - ფორმითაც, შინაარსითაც. სიღრმისეულად იცნობდა კონვენციურ ქართულ ლექსს, პოეტურ ტრადიციაში ჰქონდა ფესვი გადგმული, მაგრამ, ამავე დროს, სიახლის შეგრძნება ჰქონდა უცხოთმელი, უტყუარი, ზუსტი.

მანსენდება მისი ერთ-ერთი პირველი წიგნი „ალტერნატივა“. ეს იყო ტრადიციის გაცოცხლება სიახლეში. მეტად ახალი, თანამედროვე, გაბედული პიროვნულ-საზოგადოებრივი მოტივაციებით იყო დატვირთული თითოეული ლექსი. მუამბოზის ხასიათი ჩანდა თითოეულ სტრიქონში. ადამიანში ძველის, დრომოკმულის, ინერტულის, ბუნდოვანის განადგურებას ქადაგებდა მისი ლირიკული გმირი. როგორც ჩანს, ვახტანგი გრძობდა, ჭკრეტდა, ინტუიტურად განიცდიდა იმ მდგომარეობას, რომელიც მართლაც ალტერნატივის სახით დაუდგებოდა წინ ჩვენს საზოგადოებას, ქვეყანას, ხალხს, თითოეულ ადამიანს. თითქოს საკუთარ თავს აფრთხილებდა და თან მთელ ქვეყნიერებას ეუბნებოდა:

„ამ გზით თუ წახვალ, მზეს შეეყრები, იმ გზაზე სახლი უდგას იუდას“.

დაახლოებით ოცდაათი წლისა იქნებოდა, როდესაც გავიცანი. ნიჭიერი პოეტის სახელი ჰქონდა უკვე გავარდნილი. ბოჰემურ ცხოვრებას ეწეოდა, თუმცა იმ ბოჰემურობაშიც ჩანდა მისი არაჩვეულებრივი ნიჭიერება, პოეტურობის დიდი პოტენციალი და რადიკალიზმი აურა, რომელიც, მეგონი, ბედისწერის ფარულ მარცვალს ატარებდა.

სხვათა შორის, თამაზ ბაძაღუამ გაგვაცნო ვახტანგი. ზემელზე, „ყაზბეგში“, სარდაფის სასადილოში ვხვდებოდით ერთმანეთს, ზოგჯერ უნივერსიტეტში, მწერალთა წრის სხდომაზე. ტერენტის არ ჰგავდა, მაგრამ მაინც ტერენტის ვადარებდით. უთუოდ რაღაც ჰქონდა გრანელისა, დაბადების საერთო ადგილის გარდა.

შემდეგ შეიცვალა, თითქოს სხვა გახდა. შემოქმედებითი გზაც სხვა აირჩია. პუბლიცისტიკაში გადავიდა და იქაც გამოავლინა ნიჭი და გამბედაობა. 80-იანი წლების ბოლო იყო, 90-იანების დასაწყისი. „ლიტერატურულ საქართველოში“ გაგრძელებებით აქვეყნებდა სტატიებს საერთო სათაურით „სისხლიანი ქრონიკები“. განათლებულმა საზოგადოებამ ბევრი რამ თავისი უახლოესი წარსულის შესახებ ვახტანგის სტატიებიდან შეიტყო. მკაცრი, შეუპოვარი, დაუნდობელი იყო ის იმ ქრონიკებში, ოღონდ, ამავედროულად, მართალი, სამართლიანი, ობიექტური.

პოეტური შემოქმედება კრიტიკულ-პუბლიცისტური მოღვაწეობით შეცვალა და ამის გამო გული მწყვდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მისი მტკიცე გადაწყვეტილება იყო, რადგან მაინც, რომ პუბლიცისტური კალმით უფრო მეტს ეტყოდა საზოგადოებას, ვიდრე პოეტური სიტყვის მეშვეობით. კაცმა რომ თქვას, ასეც იყო. მართლაც ბევრი რამ უთხრა საზოგადოებას, ბევრ რამესაც შეცვლიდა, მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად ინება...

ღმერთმა უღბნოს მის სულს.

ივანე ამირხანაშვილი

# დასასურებელი ჯილდო!

მილოცვის მთავარი ადრესატი, ბუნებრივია, ჯილდოს მფლობელი, ნიკა ბაძაღუაა, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა აღიარება, მაგრამ არანაკლები ღვაწლი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს და მის გამორჩეულ რექტორს, ბატონ ზურაბ ზონელიძეს მიუძღვის!

სწორედ, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა „ჩაიკრა გულში“ რამდენიმე წლის წინათ აფხაზეთიდან გადმოსული, ეროვნებით აფხაზი, ნიკა ბაძაღუა და ყველა პირობა შეუქმნა საკუთარი ინტელექტუალური რესურსების რეალიზებისთვის!

სახელმწიფო მინისტრის აპარატის შერიგებისა და ნლობის აღდგენის საკითხებში მიერ გამოცხადებულ კონკურსზეც - „შვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“, უნივერსიტეტმა წარადგინა.

მე, ზოგადად, ნიპილისტურად ვარ განწყობილი ასეთი კონკურსების მიმართ (იგულისხმება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ორგანიზებული კონკურსები), რადგან, გამარჯვებული წინასწარაა ცნობილი. თუმცა, საკონკურსო კომისიის გუშინდელმა გადაწყვეტილებამ, ეჭვები ნამდვილად გამიქარწყლა - კომისიამ 12 ღირსეულ ფინალისტს შორის ყველაზე ღირსეული აირჩია და ამით უფრო მეტი სტიმული მისცა ნიკა ბაძაღუას, იღვწოს ქართველებსა და აფხაზებს შორის მშობის ხიდის აღსადგენად!

ზემოხსენებული კონკურსის შეჯამება და დაჯილდოების ცერემონიალი გუშინ სასტუმრო „ბილტმორში“ გაიმართა, სადაც თითქმის სრულად იყო წარმოდგენილი პარლამენტისა და მთავრობის მესვეურები და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი.

წარმოდგენილი პარლამენტისა და მთავრობის მესვეურები და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ კონკურსიც და დაჯილდოების ცერემონიალიც, საკმაოდ ეფექტურად იყო ორგანიზებული, რაც, უპირველესად, შერიგებისა და ნლობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, ქ-ნ თეა ახვლედიანის დამსახურებაა (ნიშანდობლივია ისიც, რომ იდეა ერთი წლის წინათ დაიბადა და პირველი გამარჯვებულიც გუშინ გამოვლინდა).

მე, როგორც ნიკა ბაძაღუას უფროსი მეგობარი და საქმიანი პარტნიორი, ბუნებრივია, ნიკას ვგულშემატკივრობდი, მაგრამ, რატომღაც, გულის სიღრმეში მაინც მეეჭვებოდა, რომ სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებდნენ...

ჩემი ეჭვი გაქარწყლდა. სიხარულის მიზეზი არა ის მატერიალური ჯილდოა, რომელიც გამარჯვებულს ერგო წილად, არამედ, მისი ნიჭის, ინტელექტუალური რესურსებისა და მის მიერ პრაქტიკულად გაკეთებული საქმის აღიარებაა, რომელიც სტიმულს აძლევს და პასუხისმგებლობასაც აკისრებს გამარჯვებულს, რომ მეტი გააკეთოს ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდის აღსადგენად. არადა, პრაქტიკამ დაადასტურა, რომ სახალხო დიპლომატიას და კულტურული ურთიერთობების აღდგენას, ძალიან დიდი საქმის გაკეთება შეუძლია.

ახლა ორიოდე სიტყვით თავად ჯილდოს ადრესატზე: ნიკა ბაძაღუა 28 წლის ახალგაზრდაა, ეროვნებით აფხაზი.

იგი პროფესიით ფილოლოგია (აფხაზური ენა), გარდა ქართულ-აფხაზურ-მეგრულ-სვანურისა, სრულყოფილად ფლობს თურქულ, რუსულ და კავკასიურ ენებს. ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას. ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცა (სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობაში ჩემი მოკრძალებული წვლილიცაა) „აფხაზური პოეზიის ანთოლოგია“, ივანე თარბას საიუბილეო კრებული, ჩეჩენი პოეტის, ქაუზ ისაყვის პოეტური კრებული (რჩეული), აზნადებს „ქართულ-აფხაზურ-ჩრდილო კავკასიური პოეზიის ანთოლოგიას“, ჩაფიქრებული აქვს სხვა სერიოზული პროექტებიც... რაც ყველაზე ნიშანდობლივია, არის ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენის ჭეშმარიტი მეციხოვნე.

ვულოცავ ნიკას ამ გამარჯვებას!

ასევე, გულწრფელად ვულოცავ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის რექტორს, ბ-ნ ზურაბ ზონელიძეს და უნივერსიტეტის სპიკერს, ბ-ნ დავით ჯალაღონიას, რომელიც მონდობით იყო ჩართული კონკურსისთვის აუცილებელი ფორმალური საკითხების ორგანიზებაში.

P.S. დაჯილდოების ცერემონიალის დასრულების შემდეგ, ნიკა და სოხუმის უნივერსიტეტის მესვეურები ძალიან აფორიაკებულნი ჩანდნენ - ასე იცის დაფასება!

ფორიაქი მეც გადამელო!

ზაურ ნაჭყმენია

პუბლიცისტი  
საინფორმაციო სააგენტო  
„ივერიონი“



„საერთო გაზეთი“ მხარდასაჭერი ფონდი № 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. №/6 GE19BG000000182763600.

**საერთო გაზეთი**  
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“  
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: **პანტაან სარჩილავა**  
სარედაქციო კოლექტივი: თამარ ბერძენიშვილი-ხარჩილავა (მთავარი რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი); თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, ვია ბურდული, ნატო ივანიძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველეხიანი, მთვარისა კვეციანი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშაძის ქ.18;  
ტელ.: 593 44-04-01; 555 33-44-14.  
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge  
რეგისტ. №202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158  
გაზეთის გამოცემა შეზღუდულია შპს  
„ელვა-ჯი“-ს მშვენიერებით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983  
ISBN 977-22333-9800-1  
2 008311 231562